

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სამაგისტრო პროგრამა საქართველოს ისტორია

ბარათაშვილი მარიამ

**ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა დაპირისპირება და მისი
შედეგები სახელმწიფოებრიობის გაუქმების პერიოდში**

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი აპოლონ თაბუაშვილი
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მეტად თვალსაჩინო გახადოს და სხვა კუთხით დაგვანახოს, თუ რა შედეგები მოყვა XVIII საუკუნის II ნახევარში სამეფო კარზე არსებულ და შემდგომში უფრო გამწვავებულ დაპირისპირებას, როგორც ქართლ-კახეთისთვის, ასევე მთლიანად საქართველოსთვის. აგრეთვე ნაშრომში აღწერილია იმ პერიოდში მიმდინარე ის რთული პროცესები, რაც გამოიწვია აღნიშნულმა დაპირისპირებამ. ამასთანავე რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო საქართველოს სამეფოს გაუქმებისაკენ.

მოცემულ ნაშრომში, ასევე, განხილულია სამეფო კარის წევრთა დამოკიდებულება ერთმანეთისა და სამშობლოს მიმართ. სწორედ მათმა თავდაპირველმა შეხედულებამ მიიყვანა ქვეყანა სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე, რადგან მხოლოდ თავიანთი ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და მისი დაცვისთვის იბრძოდნენ, სანამ არ გაიაზრეს არსებული საფრთხე. ამასთანავე, შევეცადე მეჩვენებინა თუ როგორ ცდილობდა რუსეთი გამოეყენებინა ეს დაპირისპირება თავისი მიზნების მარტივად განხორციელებისთვის. ვფიქრობ, სწორედ ეს ურთიერთბრძოლა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რამაც გამოიწვია ისეთი მძიმე შედეგი საქართველოსთვის, როგორცაა სამეფო დინასტიის მმართველობის დასასრული და რუსეთის მიერ საქართველოს გუბერნიად გადაქცევა.

Annotation

The aim of this paper is to make it more visible and to show in other angles results of existing and then more inflamed controversy in the royal family in the second half of the XVIII century, for Kartl-Kakheti and for Georgia as well. The paper also describes the complicated processes that occurred during the period that led to the confrontation. At the same time, the policy pursued by Russia was aimed at abolishing the Kingdom of Georgia.

In this paper, is also discussed the attitude of the members of the royal family to each other and towards the homeland. Their initial view led to the loss of statehood because they only acted in their interest and struggled to defend it until they realized the threat. At the same time, I tried to show how Russia was trying to use this confrontation to ease its goals. I suppose this was one of the main reasons that caused such a grave consequence for Georgia, such as the end of the rule of royal dynasty and the transformation of Georgia into Russia's province.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I	
ქართლ-კახეთის ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის II ნახევარში და ბატონიშვილთა დაპირისპირების მიზეზები.....	8
თავი II	
სამეფო კარის წევრთა დაპირისპირების გამწვავება	25
თავი III	
დაპირისპირების შედეგი და რუსეთის პოლიტიკა	35
დასკვნა	42
გამოყენებული ლიტერატურა:	44

შესავალი

საქართველოს ისტორიაში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბაგრატიონთა დინასტიას. საინტერესოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ სწორედ დინასტიის წარმომადგენლების დაპირისპირებამ XVIII საუკუნის II ნახევარში დიდი გავლენა იქონია საქართველოში მონარქიის გაუქმებასა და რუსეთის გაბატონებაზე. აღსანიშნავია ის, რომ იმპერია ამ დაპირისპირების გარემოც მოახერხებდა ჩვენი ქვეყნის დამორჩილებას, მაგრამ შედეგები იმდენად მწვავე და აღმამოთებელი არ იქნებოდა. სამეფო კარის წევრები თუ თავიდანვე ერთიანები იქნებოდნენ და სათანადო ძალას აჩვენებდნენ რუსებს, ასევე გარე დახმარებასაც გამოიყენებდნენ, მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა. იქნებ, ამ შემთხვევაში იმპერიას უკან დაეხია და გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, არ გაეუქმებინა მონარქია და ბაგრატიონები სამშობლოში დარჩენილიყვნენ. სამეფო ოჯახის შეცდომად მიმაჩნია ის, რომ ურთიერთბრძოლის დროს ისინი რუსეთის გამოყენებას ცდილობდნენ ერთმანეთის დასამარცხებლად, ეს კი სავალალოდ აისახა ქართლ-კახეთზე. ამ ქმედებით მათ საერთო ჯამში სამშობლო დააზარალეს.

ჩემი ნაშრომი, სწორედ ზემოაღნიშნული მდგომარეობის განხილვას და თვალსაჩინოებას წარმოადგენს. ვფიქრობ, ინტერესს უნდა იწვევდეს ის, რომ უკეთესად დავინახოთ, თუ რა გარემო-ფაქტორებმა გამოიწვია ყოველივე, რა იყო მიზეზი სამეფო ოჯახის დაპირისპირებისა და რა შედეგებით დასრულდა იგი.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სხვადასხვა ლიტერატურა, რომელთა მეშვეობით შევძელით გავცნობოდით იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს და მათი ანალიზის საფუძველზე გვესაუბრა აღნიშნულ თემაზე. ერთ-ერთი წყარო, რომელიც გამოვიყენეთ არის ეთერ ორჯონიკიძის ნაშრომი – „ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ“. ის საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროდ მიმაჩნია, რადგან ძალაინ ბევრი საინტერესო ფაქტი და ბატონიშვილთა წერილია ნაშრომში, რომლებიც დამეხმარა დამენახა, თუ რა დამოკიდებულება ქონდა ალექსანდრეს იმპერიისადმი და რას აკეთებდა მის წინააღმდეგ ბრძოლაში გასამარჯვებლად.

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროდ მიმაჩნია პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. მას განსაკუთრებულობას სძენს ის ფაქტი, რომ პლატონის მამა, ეგნატე იოსელიანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის სასახლესთან დაახლოებული პირი იყო. სასულიერო წოდების წარმომადგენელი ხშირად უყვებოდა თავის შვილს იმ ამბების შესახებ, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. მომავალმა ისტორიკოსმა შემდეგში ისარგებლა მამისაგან მოსმენილი ეპიზოდებით და თავის ნაშრომში გამოიყენა. ეგნატე იოსელიანი გვევლინება, როგორც მონმე და მონაწილე სასახლეში მიმდინარე პროცესებისა. ასევე პლატონი გიორგის სხვა თანამედროვეებისგანაც აგროვებდა ცნობებს მის შესახებ. სწორედ ამიტომ მისი ნაშრომი სიმართლესთან ყველაზე ახლოს უნდა იყოს. გარდა ამისა, იმიტომ მიმაჩნია საინტერესოდ აღნიშნული ნაშრომი, რომ პლატონი გიორგის სახეს გვაჩვენებს სრულიად განსხვავებულად. ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი ძირითადად უარყოფითად გვევლინება, პლატონი იოსელიანის მეშვეობით კი ჩვენ შეგვიძლია იგი სულ სხვა კუთხით დავინახოთ.

პარალელურად გამოვიყენეთ ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებული ეპოქის ამსახველი წყაროები, ბატონიშვილთა წერილები, რომლებიც გვეხმარება კარგად დავინახოთ მათი ურთიერთობა. ასევე ის, თუ რა გზებს მიმართავდნენ ერთმანეთზე გასამარჯვებლად.

ძალიან საინტერესოდ გვევლინება თამარ ჰაპავას ნაშრომი, „დიდი სახეები პატარა ჩარჩოში“. მასში საუბარი არის დარეჯან დედოფალზე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. ჩვენ აქ ვხედავთ დედოფლის სხვა სახეს, თუ როგორი მებრძოლი იყო იგი და რამდენს აკეთებდა ქართლ-კახეთისთვის. ნაშრომის მიხედვით დედოფალი დაულაღვად იბრძოდა ერეკლესა და საქართველოს გადასარჩენად რუსთა კლანჭებისაგან.

ასევე ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხები“. მასში საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ გამოვიყენეთ, საქართველოს ისტორიის ნარკვევების შესაბამის ეპოქაზე სხვადასხვა ავტორის გამოკვლევები, სადაც მნიშვნელოვანი ფაქტოლოგიური სურათია ნაჩვენები. ასევე გამოყენებული გვაქვს იასე ცინცადის „ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, აღნიშნული ნაშრომი ძალიან საინტერესო მასალას გვანვდის კრწანისის ბრძოლაზე და ბევრ ისეთ ინფორმაციას ვიგებთ მისი მეშვეობით, რომელიც სხვა ლიტერატურასა თუ წყაროში სხვა კუთხით არის ნაჩვენები. თუნდაც ის, რომ ბევრგან ბატონიშვილებზე და გიორგი XII-ზე ვხვდებით ისეთ შეხედულებას, თითქოსდა მათ უღალატეს ერეკლეს და სათანადოდ არ დაუდგინ გვერდში ბრძოლის პერიოდში. აღნიშნული ნაშრომიდან კი ვხედავთ, რომ ყველაფერი სხვაგვარად იყო და ზემოაღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამისება.

ერთ-ერთ წყაროდ გამოყენებულია **АКТЫ**, собранные Кавказскою Археографическою Комюмиссие. მასში ძალიან საინტერესო და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო, რაც გამოვიყენე ნაშრომზე მუშაობისას.

ნაშრომი შეიძლება დავყოთ რამდენიმე ნაწილად. კერძოდ კი, სამეფო კარის დაპირისპირება და შემდგომ ერთობლივი მოქმედება. ასევე, რუსეთის პოლიტიკა და ის შედეგები, რაც გამოიწვია ყოველივე ზემოთ ხსენებულმა. მნიშვნელოვანია თითოეულ ეტაპში წარმოდგენილი ინფორმაცია კარგად გავიაზროთ და სწორი კუთხით შევხედოთ, რათა არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით სწორი შეხედულება ჩამოგვიყალიბდეს და კარგად დავინახოთ რამდენად მძიმე შედეგები მოყვა სამეფო კარის ურთიერთბრძოლას.

თავი I

ქართლ-კახეთის ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობა XVIII

საუკუნის II ნახევარში და ბატონიშვილთა დაპირისპირების

მიზეზები

საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ საგარეო მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა XVIII საუკუნის ბოლოს. ქვეყანა განადგურებული და გაპარტახებული იყო მტრის შემოსევებისა და შიდა ბრძოლებისგან. ქართლ-კახეთი კი განსაკუთრებით ზარალდებოდა ამ სიტუაციაში. განვითარებისა და წინსვლის მაგივრად მდგომარეობა უარესდებოდა. სწორედ ასეთ მძიმე ვითარებაში გამოჩნდა ჩვენ მიმართ „კეთილგანწყობილი“ ერთმორწმუნე მეზობელი, რუსეთი, რომელიც თითქოსდა შენუხებული იყო საქართველოში არსებული მდგომარეობით და სურდა დახმარების ხელი გამოეწოდებინა ჩვენთვის. ეს კი მხოლოდ დროებითი ნიღაბი იყო, რათა მარტივად განეხორციელებინა თავისი გეგმები და მიეღწია დასახული მიზნებისათვის.

რუსეთის ძალების დიდი ნაწილი შავი ზღვის აუზის ტერიტორიებზე იდგა, აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც. კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ ირანსა და ოსმალეთს რუსეთიც დაემატა. ამ სამ სახელმწიფოს შორის რუსეთი ყველაზე ძლიერი იყო. ცხადი ხდებოდა, რომ ვერც ოსმალეთი და ვერც ირანი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ერეკლე II ამ ყველაფერს ხვდებოდა და ცდილობდა, რუსეთის სამხრეთისაკენ სწრაფვა თავისთვის სასარგებლოდ გამოეყენებინა. შექმნილ ვითარებაში აშკარა პრორუსული პოლიტიკის გატარება გარკვეულ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. მართალია, ამ პერიოდისთვის ოსმალეთიც და ირანიც საგრძნობლად დასუსტებულნი იყვნენ, მაგრამ მათ იმდენი ძალა მაინც შესწევდათ, რომ საქართველოსთვის სერიოზული დარტყმა მიეყენებინათ, მითუმეტეს ჩვენი ქვეყანა იმ დროს უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მოსახლეობის რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში 700-800 ათასს არ აღემატებოდა, მართალია ასეთი ვითარება იყო ყველგან,

მაგრამ ისეთ პატარა სახელმწიფოსთან შედარებით, როგორც საქართველოა, ნებისმიერ შემთხვევაში რიცხვობრივად დიდი ქვეყნები მაინც ბევრად მეტი იქნებოდნენ. ასეთ ვითარებაში ძლიერი მფარველის ძიება სრულიად ბუნებრივი ქმედება იყო მეფის მხრიდან. ირანისა და ოსმალეთის მფარველობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ევროპის სახელმწიფოებს საქართველოს დახმარების სურვილი არ ჰქონდათ, რჩებოდა ერთადერთი ქვეყანა, რუსეთი, და სწორედ ამან იქონია დიდი გავლენა ერეკლეს გადაწყვეტილებაზე. შექმნილ ვითარებაში რუსეთის ინტერესებში შედიოდა კავკასიონის ქედის გადმოლახვა. ორმხრივი დაინტერესება აშკარა იყო, მაგრამ რუსეთს სურდა მოლაპარაკებები ისე წაეყვანა, თითქოს ამ ყველაფრის ინიციატორი ერეკლე იყო და მის ინტერესებს არ წარმოადგენდა საქართველოში გაბატონება. რუსი პოლიტიკოსები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ქართლ-კახეთის მეფეს იმპერიისათვის მიემართა ოფიციალური თხოვნით მფარველობაში მიღების შესახებ. 1783 წელს დადებული „გეორგიევსკის“ ტრაქტატით იმპერია მხოლოდ მფარველი უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი უფლებები საგრძნობლად გაიზარდა.¹

ცხადი იყო, იმპერატორი მხოლოდ ამას არ დაჯერდებოდა. რუსთა იმპერია ძალას არ იშურებდა საქართველოში სამუდამოდ გასაბატონებლად. მის მიზანს წამოადგენდა თავის ერთ-ერთ გუბერნიად ექცია ჩვენი ქვეყანა. თუმცა იმ პერიოდში ერეკლე II იმპერიასთან ურთიერთობით მოსალოდნელ შედეგებზე ნაკლებად ფიქრობდა და მას რუსეთის სწამდა ბოლო წუთამდე. მეფის ინტერესის სფერო იყო ერთმორწმუნე ერთან კარგი ურთიერთობა ქონოდა და მაჰმადიანი ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა მისი სამხედრო დახმარება, რაც ტრაქტატში შედიოდა კიდევ. ერეკლე არ უყურებდა რუსეთს, როგორც დამპყრობელს, იგი მასში ქრისტიან მოკავშირესა და დამხმარე ძალას ხედავდა.

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, მეფის მიერ XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში

¹ გ. პაიჭაძე. ქართლ-კახეთის და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წ. ხელშეკრულება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973, გვ. 686-692.

მიღებულმა გადაწყვეტილებამ. ამ გადაწყვეტილების მიხედვით სამეფო და სადედოფლო ყმა-მამულების ნაწილი თავისი მემკვიდრეებისთვის, ბატონიშვილებისთვის, მუდმივ საკუთრებაში უნდა გადაეცა. საკმაოდ მსხვილი მემამულეები გახდნენ იულონ, ვახტანგ, იოანე, მირიან, ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილები. ბატონიშვილთა საკუთრებას საუფლისწულოები ეწოდებოდა.

გარდა პირად საკუთრებაში გადაცემული ყმა-მამულისა, ერეკლე II-მ ასევე შექმნა უფრო მსხვილი ტერიტორიული ერთეულები, რომელსაც ასევე საუფლისწულოები ეწოდა. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, „გამრავლებულთა ძეთა თვისთა დაუნიშნა საცხოვრებლად და გასაგებლად ადგილნი და თემნი. მეფის ძეს გიორგის ბორჩალო და ყაზახის ნაწილი; იულონსა ქსნის ადგილები (რადგანაც ერისთავიანთ მიეღოთ ქსანი), ვახტანგსა ანუ ალმასხანსა არაგვი და სხვათა სხვანი ადგილნი“. მოგვიანებით, საკუთრივ ქსნის საერისთავო იოანე გიორგის ძეს გადაეცა, ხოლო იულონს ლიახვის ხეობა, ფარნაოზ ბატონიშვილს კი სურამის მიმდებარე ტერიტორია.

ასეთი საუფლისწულოები არ იყო ბატონიშვილთა სამემკვიდრეო ნაწილი. მაგალითად, ყაზახ-ბორჩალოში მოურავი იჯდა და მოსახლეობის აკრეფილი გადასახადები სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა; ასევე იულონ ბატონიშვილის საუფლისწულო მოიცავდა, როგორც მის პირად მამულებს, ასევე მაჩაბლების, ამილახვრების და სხვათა მამულებსაც. ფარნაოზ ბატონიშვილის საუფლისწულოში, სურამში, იჯდა მეფის მოურავი, გადასახადებიც სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა. ქსნის და არაგვის ხეობების აზნაურები (თავისი ყმებით) სახაზინო აზნაურებად ითვლებოდნენ. ერთი სიტყვით, მეფემ თავისი მემკვიდრეები პროვინციაში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით საკუთარ წარმომადგენლებად დანიშნა. სპეციალური ნებართვით მათ სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლება, სამხედრო ფუნქციები და სხვა მოვალეობები დააკისრა. დავით ბატონიშვილის „საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვიდან“ ჩანს, რომ ერეკლე II-მ უფლისწულებისათვის ზოგიერთი უფლებამოსილება შეზღუდა, ბატონიშვილებს ეკრძალებოდათ მათ საბატონიშვილოში განწესებულ მოურავთა, სარდალთა და მდივანბევთა წინააღმდეგობა და სხვა.

ერეკლეს მიერ შექმნილი საუფლისწულოები მის სიცოცხლეში ნორმალურად ფუნქციონირებდა. თუმცა, მოგვიანებით, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის დაუფლებისათვის გამწვავებულ დინასტიურ ბრძოლაში ბატონიშვილები მინიჭებულ ძალაუფლებას საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდნენ, რამაც ალა-მაჰმად ხანისაგან დარბეული ქვეყნის კიდევ უფრო დასუსტება გამოიწვია. ამიტომაც, საუფლისწულოთა შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში ერეკლე II-ის შეცდომად სამართლიანად არის მიჩნეული.²

ტრადიციული შეხედულებების მიხედვით ერეკლემ ზემოთ ხსენებული გადანყვეტილება დარეჯან დედოფლის შეგონებით მიიღო. ჩემი აზრით, დარეჯან დედოფალი მართლაც მაქსიმალურად შეეცდებოდა სამეფო ტახტზე თავისი შვილები დაემკვიდრებინა, თუმცა ვფიქრობ, ერეკლე თავისი მოღვაწეობიდან გამომდინარე ისეთ მეფედ ნამდვილად არ გვევლინება, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან გადანყვეტილებას მხოლოდ იმის გამო მიიღებდა, რომ დარეჯანს სურდა და ბევრ რამეს აკეთებდა მიზნის მისაღწევად, და არა იმის გამო, რომ მას უბრალოდ ამგვარად მიაჩნდა სწორად. ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ დედოფალმა შესაძლოა რაიმე სახის გავლენა მოახდინა მეფის გადანყვეტილებაზე, მაგრამ დაზუსტებით ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ დარეჯანის გამო მოიქცა ასე. მე მაინც მგონია, ერეკლე რაღაც კარგს ხედავდა ამ ყველაფერში და აქედან გამომდინარე გადადგა ეს ნაბიჯი, ქვეყანა დაეყო საუფლისწულოებად. იგი როგორც თავის ანდერძში აღნიშნავს იმის გამო მოიქცა ასე, რომ შემდგომში ბატონიშვილთა შორის დავა არ ყოფილყო ტერიტორიების გამო და ყველას თავისი საკუთრება ქონოდა. ამასთანავე მის სიცოცხლეში ბატონიშვილები ემორჩილებოდნენ მეფეს და თავიანთი ქცევით ყვეყანას საფრთხეს არ უქმნიდნენ, არც ერთმანეთთან ქონიათ რაიმე სახის მწვავე დაპირისპირება. ამის პრივილეგიები ერეკლეს არც მიუნიჭებია მათთვის, როგორც დავინახეთ ისინი გარკვეულ საკითხებში შეზღუდულები იყვნენ. მეფის გარდაცვალებამდე პერიოდში წერილობით წყაროებში არ გვხვდება ღიად ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაზუსტებით გვამცნობს, რომ

² ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. „უნივერსალი“, თბ., 2010. გვ. 174-175.

ბატონიშვილები ერთანეთს უპირისპირდებოდნენ და ურთიერთბრძოლა ქონდათ. შესაძლოა მათ უმნიშვნელო უთანხმოებები ქონდათ, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს საფუძველს თამამად გავუსვათ ხაზი ამას. ერეკლეს გარდაცვალების შემდგომ კი მართლაც დაიწყო ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ და ისტორიკოსებმა ეს აზრი წინა ეპოქაზეც გაავრცელეს. მეფის გადაწყვეტილება ემსახურებოდა შემდგომს, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასა და განმტკიცებას ქვეყანაში. თუმცა, ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო და ერეკლეს გარდაცვალების შემდგომ, პირიქით ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა ბატონიშვილთა წყალობით. ზემოთ აღნიშნულ ტრადიციულ შეხედულებებს ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი იზიარებს და მათი აზრით, 1791 წელს სწორედ დარეჯანისა და მისი შვილების ძალისხმევით ერეკლემ შეადგინა დოკუმენტი „განწესებანი საქართუელოს მეფის ირაკლისანი ძეთ თვისდამი და მის სამეფოისათვის საქართუელოისა“. თუმცა მე ამ აზრს არ ვეთანხმები, რადგან ვფიქრობ, ეს ისეთი თემაა რომელზეც გადაჭრით საუბარი ცოტა რთულია, იმიტომ რომ წყაროები არ გვაძლევს იმის საშუალებას პირდაპირ, თამამად აღვნიშნოთ დარეჯანის გავლენა თუ ბრალეულობა ერეკლეს გადაწყვეტილებაში. მაგალითად მოვიყვან ამონარიდს ერეკლეს ანდერძიდან სადაც ის გარკვევით გვეუბნება, რომ დამოუკიდებლად მიიღო ყველა გადაწყვეტილება, სხვისი ჩარევის გარეშე:

„სამობითსა და ერთობითსა ღმერთსა ვფიცავ, რომ რაც ეს განწესება დამინერია, არავის შეეტყოს, არცა ვისთვის მეკითხოს და არცა ვისმე ერჩიოს და არა ვისიმე მეტობის მონდომობით, არცა ვისიმე დაკლებით მე ეს არ დამენეროს და არც ჩემის გონების მეტი კაცი, ამისი მთქმელი და განმრჩეველი სხვა ამის დანერადმდე არა მყოლოდეს.

და ამაზედ ცილი ან მე არავინ დამწამოს ან სხვათ, რომ დიდი ცოდვა იქნება, და ეს ასე დამიჯერეთ შვილმაცა და ქვეყანამაც“.³ მართალია, გაჩნდება მოსაზრება, რომ მეფე არ დანერდა ანდერძში ვინმეს ზემოქმედების შედეგად რომ მიეღო მსგავსი გადაწყვეტილებები და აღნიშნავდა, თითქოს მხოლოდ მის მიერ იქნა გადაწყვეტილი

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ., 509.

ყველაფერი, თუმცა როგორც ვიცით ერეკლე ძალიან მორწმუნე და ღვთის მოშიში გახლდათ, შესაბამისად ის სამების ფიცით არ შეეცდებოდა თავისი სიმართლის დადასტურებას. ამასთანავე იგი არ იყო სუსტი, რათა მარტრიალ გადასულიყო და გაეზიარებინა სხვისი აზრი, მას ჩვენ - მოაზროვნე, ჭკვიან და ძლიერ ადამიანად ვიცნობთ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, თითქოსდა ქართლ-კახეთის მეფემ შეცვალა მემკვიდრეობის ძველი წესი, რომლის მიხედვითაც მეფობა მამიდან შვილზე გადადიოდა. ახალი კანონის მიღების შემდეგ ტახტი უნდა გადასულიყო არა მამიდან შვილზე, არამედ გვარში უფროსზე. ეს საკითხი სადავო თემად მიმაჩნია, რადგან საკითხავია მართლა ერეკლემ შეცვალა თუ არა წესი და მანამდეც ხომ არ არსებობდა იგი. დაკანონებული, წერილობით არსად გვხვდება, რომ ერეკლე მეფემ თავად შემოიღო ძმიდან ძმაზე მეფობის გადასვლის წესი და ეს სხვა დროს არ ყოფილა. იგი თავის ანდერძში კი ამბობს, მეფობა უფროსი ძმიდან უნდა დაიწყოს და შემდგომ გადავიდეს ძმიდან ძმაზე ასაკის მიხედვით, მაგრამ არსად არ ახსენებს იმას, რომ ეს კანონი მის მიერ იქნა შემოღებული. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1722 წელს, როდესაც კახეთის მეფე დავით II იმამყული-ხანი გარდაიცვალა ტახტზე მისი ძმა კონსტანტინე II ავიდა, ხოლო კონსტანტინეს გარდაცვალების შემდგომ 1732 წელს ტახტი დაიკავა ასევე წინამორბედი მეფეების ძმამ, თეიმურაზ II-მ. ეს ყველაფერი ჩემი აზრით ეჭვქვეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ მემკვიდრეობის წესი ერეკლემ შეცვალა და მანამდე არ მოქმედებდა იგი. წერილობით წყაროებში ვხვდებით ასევე ინფორმაციას, რომ ერეკლეს საუფლისწულოების კანონის მიღების შემდეგ თითოეულ ბატონიშვილს მიეცა 1003 კომლი ყმა, ხოლო მემკვიდრე გიორგის 4000. ეს ინფორმაცია სანდოობის მხრივ დიდ დაკვირვებას საჭიროებს, რადგან ამდენი ყმა იმ პერიოდში ფიზიკურად არ არსებობდა. ქართლ-კახეთის მოსახლეობა სულ დაახლოებით 45000 კომლისაგან შედგებოდა. აქედან ქართლის და კახეთის ბარში მცხოვრები ინტენსიური მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობა შეადგენდა 14000 კომლს; თავად-აზნაურები 2000 კომლს; ვაჭრები 1300 კომლს, ქართლის და კახეთის ბარში თათრები 2000 კომლს; ყაზახ-

ბორჩალო, ბაიდარის; შამშადილის მოსახლეობა 10000 კომლს. ⁴ ერთ-ერთი წერილობითი წყაროს მიხედვით 1801 წლისთვის სამეფო საგვარეულოს წევრები 50 სულისაგან შედგებოდა. თითოეული მათგანი კი ცხოვრობდა თავიანთი ყმებისაგან აღებული შემოსავლით და ამის გარდა ქონდათ საბატონიშვილოები. „1803 წლის ცნობილ დარია დედოფალს ჰყვანდა 299 მეკომური (1311 სული) ყმა, რომელთაგან შემოსდიოდა ყოველ წლივ 1495 მან., მარიამ დედოფალს ჰყვანდა 295 მეკომური (1556 სული) ყმა და შემოსდიოდა 3,366 მ., ვახტანგ ერეკლეს ძეს 2061 მეკომური (12815 სული) და შემოსდიოდა 5,252 მ. და 85 კაპ., იოანე გიორგის ძეს 953 მეკომური (1564 ს.) და შემოსდიოდა 1571 მან., მემკვიდრეს დავით გიორგის ძეს 391 მეკომური (1564 ს.) და შემოსდიოდა 3520 მ., ბაგრატ გიორგის ძეს 295 მეკომური (1510 ს.) და შემოსავალი 1892 მან., იოანეს 295 მეკომური (1743 ს.) და შემოსავალი 916 მან., ალექსანდრე ერეკლეს ძეს 214 მეკომური (1034 ს.) და შემოსავალი 1630 მან., ფარნაოზს 18 მეკომური (196 ს.) და 230 მან. შემოსავალი, თეიმურაზ გიორგის ძეს 41 მეკომური (229 ს.) და 300 მან. შემოსავალი, და კიდევ დავით გიორგის ძეს 21 მეკომური (296 ს.) და 248 მან. შემოსავალი; და საერთოდ ყველას 4883 მეკომური (28,408 ს.) და შემოსავალი 20,351 მან., მაშასადამე ყოველი მეკომური ხდილობდა 4 მ. და 17 კაპ., ხოლო ყოველი სული 72 კაპ.“⁵ ამ ყველაფერიდან ნათლად ჩანს, რომ თითოეულ სამეფო კარის წარმომადგენელს სხვადასხვა რაოდენობის ყმა ყავდა და ასევე ისიც რომ ბატონიშვილები ერთნაირი რაოდენობის კომლს არ ფლობდნენ როგორც ზემოთაა ნათქვამი, თითქოსდა თითოეულ მათგანს 1003 კომლი ყმა გადაეცა ერეკლესგან.

საუფლისწულოებად დაყოფის შემდეგ უფლისწულები ჩაიკეტნენ საკუთარ მამულებში და მამას საერთოდ აღარ ემორჩილებოდნენ, თუმცა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საშიშროება როდესაც დაემუქრათ ერეკლეს შვილებიდან: იულონი, ვახტანგი, ალექსანდრე და ფარნაოზი ქვეყნისათვის ბრძოლას შეუდგნენ. ბატონიშვილები, რეაქციულ თავადებზე უფრო რეაქციულად მოქმედებდნენ. ამან ისედაც დაშლილი

⁴ ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. „უნივერსალი“, თბ., 2010. გვ. 100.

⁵ მ. ჯანაშვილი. საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, ქუთაისი, ღამბაშიძის სტამბა, 1899, გვ. 143-144.

საქართველო კიდევ უფრო დაშალა და დაასუსტა. ისინი მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის დაცვასა და გაფართოებაზე ზრუნავდნენ. მათ ერთიანი საქართველოს ბედი ნაკლებად აღელვებდათ.⁶ ეს მოსაზრება ნაკლებ სარწმუნოდ უღერს ჩემთვის, თითქოსდა ბატონიშვილებს მხოლოდ თავიანთი მამულები ადარდებდათ და ერეკლეს არ ემორჩილებოდნენ. ნაშრომში შევხვდებით ინფორმაციას, რომელიც ამ ყველაფერს ცხადყოფს და დაგვანახებს, რომ ერეკლეს გარდაცვალებამდე ბატონიშვილთა ქმედებები და ურთიერთობები ერთმანეთთან, არცთუ ისე გამანადგურებელი და რთული იყო.

ქართლ-კახეთს რეალური საფრთხე ემუქრებოდა ალა-მაჰმად ხანისგან. ხანი ერეკლესგან რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის განწყვეტას მოითხოვდა. ის, რომ ალა-მაჰმად ხანი ქართლის წინააღმდეგ გამოილაშქრებდა ცხადი იყო და იმპერია ამას კარგად ხედავდა. ერეკლე დახმარებას რუსეთს თხოვდა და მიუხედავად დაიმედებისა იმპერატორი ჯარს არ გზავნიდა. რუსეთი რომ ქართლ-კახეთს არ დაეხმარებოდა ეს ხანმაც კარგად იცოდა. 1795 წლის ივლისში ალა-მაჰმად ხან ყაჯარი თბილისისაკენ დაიძრა.⁷

კრწანისის ბრძოლა, რომელიც 1795 წელს გაიმართა, ქართველთა დამარცხებით დასრულდა 11 სექტემბერს და ისედაც განადგურებულ აღმოსავლეთ საქართველოს ბოლო მოუღო. ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს რუსეთი თუ როგორი მფარველობის განწევას აპირებდა საქართველოსთვის. ყველაზე მძიმე მომენტშიც კი უყურადღებოდ დატოვა და ირანელებთან ბრძოლაში დასამარცხებლად გაიმეტა ერეკლე.

დამარცხებული ერეკლე II 1795 წლის 15 სექტემბერს რუსეთში მყოფ თავის შვილს მირიანსა და გარსევან ჭავჭავაძეს წერდა, რომ იგი სათანადოდ ვერ მოემზადა მტრის დასახვედრად. ამასვე ადასტურებდა მეფე 1795 წლის 17 სექტემბერს წერილში გიორგი ბატონიშვილისადმი, რომელიც მაშინ კახეთში იმყოფებოდა. მეფის მიერ თავისი მემკვიდრისადმი გაგზავნილი წერილებიდან ნათლად ჩანდა, რომ გიორგი ბატონიშვილი სამშობლოსათვის სახიფათო მომენტშიც კი გულგრილად უყურებდა თბილისის

⁶ მ. სამსონაძე, ალა-მაჰმად ხანის 1795 წლის თავდასხმა. საქართველოს ისტორია, ტომი III, რედ., მ. ლორთქიფანიძე, თბ., 2012. გვ. 459-460.

⁷ მ. დუმბაძე, ნ. ქორთუა. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 757.

ტრაგედია.⁸ თუმცა საპირისპიროს ამტკიცებს შემდგომი, საიდანაჯ ვიგებთ, რომ ომარ-ხანის წერილიდან გამომდინარე კახეთი საგანგაშო მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო და არსებული ძალები ადგილობრივ სტრატეგიული გზების ციხე-სიმაგრეებში უნდა განაწილებულიყო. სწორედ ამიტომ, ერეკლე მეფის უფროსი შვილი, ტახტის მემკვიდრე გიორგი, თვით ქართველი მეფის განკარგულებით კახეთის თავდაცვას ედგა სათავეში და მას უფლება არ ჰქონდა ძირითადი ძალები კახეთიდან დაეძრა. ეს მომენტი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრების მიერ გამოყენებულ იქნა და კვლავ გავრცელებულია ცნობა, თითქოს საქართველოს განსაცდელის უამს ტახტის მემკვიდრე უღარდელად სიღნაღსა და თელავში ცხოვრობდა, საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნავდა და თავის გვირგვინოსან მამას ერთი ჯარისკაცი ვერ მიაშველა. ამ ტენდენციური ცნობის გავრცელების ინიციატორი გახლდათ არტემ არარატელი. იგი წერს: „სიღნაღში მაშინ ბატონ-პატრონად ერეკლეს უფროსი ვაჟიშვილი, ტახტის მემკვიდრე იყო. როცა ერეკლემ ალა-მაჰმად ხანის საფრთხის მოახლოება თვალნათლივ დაინახა, არა ერთგზის დაბეჭითებით თხოვა მას, ისევე როგორც სხვა შვილებს, დაეჩქარებინათ მისთვის მაშველი ჯარის, რამოდენიმე ათასი კაცის გამოგზავნა. სიღნაღელმა ბატონიშვილმა არა ერთხელ შეკრიბა მამის მიერ გამოთხოვილი დახმარება და ქალაქიდან კიდევ გაისტუმრა ისინი, მისი ქვეშევრდომები იმდენად ჯიუტები იყვნენ, რომ სხვა მოხვეული გზებით უკან ბრუნდებოდნენ და თავ-თავიანთ სახლებში იფანტებოდნენ, რადგანაც ისინი სამშობლოს დაცვაზე კი არ ზრუნავდნენ იმდენად, რამდენადაც პურის ალებაზე. ასეთი ურჩობა გასწიეს მათ ჩემს სიღნაღში ყოფნის დროს, სწორედ მაშინ, როცა შაჰი თბილისს მიაღდა“-ო. გიორგი ბატონიშვილის შესახებ მსგავსი ცნობები შემდეგ მის მოწინააღმდეგე ჯგუფებსაც გაუვრცელებია საქართველოში და სამწუხაროდ მისი უარყოფა იმ დროის ფეოდალურ არისტოკრატიულ წრეებში საკმაოდ რთული იყო. მითუმეტეს რომ სასახლის წევრები გიორგის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ დასებს ხემძღვანელობდნენ და ამ ჭიდილის დროს ერთმანეთის ავტორიტეტის დასაცემად ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ.⁹

⁸ მ. დუმბაძე, ზ. ცქიტიშვილი. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795 წ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 765

⁹ ი. ცინცაძე. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795). „ცოდნა“, თბ., 1963, გვ. 117-118.

პლატონ იოსელიანი გიორგი ბატონიშვილის შესახებ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის, იგი წერს: „მეფის-ძეს გიორგის არა ჰქონდა ბრძანება ირაკლისა არცა ჯარისა შეგროვებისა და არცა მოსვლისა თბილისიდან. ესე ნამდვილი არის და არცა საეჭვოა. იოანე მალხაზის-ძე ანდრონიკოვი (ლენერალი-ლეიტენანტი დღესაცა ცოცხალი) ხშირად მოიგონებს საქმესა ამას და ვიცი ესე მისგანაც პირუთნობელობით... მეფის-ძე გიორგი მწუხარებდა უფრო ამისთვის, რომელ აბრალებდნენ მას მოლაღატობასა და ვერცა გამოაცხადებდა მამისა თვისისა რიდით მას, რომელ არა ჰქონდა უფლება ჯარის შეყრისა უბრძანებოდ. ეგონათ რომელ იმერეთისა ჯარი და ქართლისა ეკმაოდა სპარსთა დასამარცხებლად. ესევე იყო მიზეზი, რომელ დღეინდელად დღემდე ქიზიყელნი ვერ მოიხსენებენ კეთილად მეფესა გიორგის, რომელსაცა სწამობენ, მტრობით ვითამც მამისა, ესრეთ სუსტად მოქცევასა გაჭირვებისა დღეებში“.¹⁰ ბრძოლის დანაშაულის წინ აღექვსანდრე და იულონ ბატონიშვილები მამასთან ერთად თბილისში იყვნენ. მეფეს შვილები სახელმწიფო საქმეებში ჰყავდა ჩაბმული და თითოეულ მათგანს უსაქმოდ არ აჩერებდა. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმის წინა თვეებში აღექვსანდრე და იულონი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის თავდაცვის საქმეებში. მირიან ბატონიშვილი ამ დროს რუსეთში იმყოფებოდა, ანტონი პატრიარქი იყო და მეფის ოჯახთან ერთად გახიზნულა, ლევან ბატონიშვილი ამ დროს გარდაცვლილია, ხოლო ვახტანგ ბატონიშვილი (იგივე აღმასხანი) თავის საბრძანებლიდან სასწრაფოდ ჩამოეშველა მამას სახელდახელოდ შეკრებილი რაზმით და კრწანისის ბრძოლის შუა ცეცხლში იმყოფებოდა. ასაკში მყოფი შვილიშვილები, დავით და იოანე ბატონიშვილები, გვირგვინოსან პაპას არ მოსცილებიან და თუ კრწანისის ბრძოლაში მეფეს სიცოცხლე შერჩა ამათი წყალობით. იოანე ბატონიშვილმა ალყა შემორტყმული მეფე ბრძოლის ცეცხლიდან იშვიათი გმირობით და მოხერხებით გამოიყვანა. დარეჯან დედოფალი 8 სექტემბრამდე მეუღლეს არ მოსცილებია, იგი თავის მხრივ წერილს წერილზე გზავნიდა რუსეთში და შველას ითხოვდა.¹¹ როგორც ვხედავთ, კრწანისის ბრძოლის დროს ერეკლესთვის არცერთ ბატონიშვილს არ ურალატია და მამას ეხმარებოდნენ ბრძოლის ველზე, ხოლო გიორგის

¹⁰ ი. ცინცაძე. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795). „ცოდნა“, თბ., 1963, გვ. 119.

¹¹ ი. ცინცაძე. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795). „ცოდნა“, თბ., 1963, გვ. 125-126.

თბილისში არ ყოფნასთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ და ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს ყველაფერი. ბრძოლაში მეფეს გვერდში არა მხოლოდ შვილები, არამედ როგორც დავინახეთ შვილიშვილებიც ედგნენ და მის მხარდამხარ იბრძოდნენ. სამეფო ოჯახის ყველა წევრი ჩართული იყო ბრძოლაში შეძლებისდაგვარად და ვფიქრობ ღალატზე საუბარი ზედმეტია.

მდგომარეობა დამძიმდა, 1798 წლის 11 იანვარს, ერეკლე მეფის გარდაცვალებით.¹² გიორგი ამ დროს წასული იყო თათრების ელჩის საჩივრის გამო ბორჩალოსა და ყაზახში. იგი 22 თებერვალს დაბრუნდა თელავში და საკმაოდ დიდი წინააღმდეგობები შეხვდა გამეფებასთან დაკავშირებით. დარეჯანი ცხადად არ აღიარებდა გიორგის მეფედ და სურდა ისევე ყოფილიყო მეფე, როგორც ეკატერინე იყო რუსეთში. ამასთანავე დედოფალმა გიორგის მიუგზავნა ელევთერი, რათა ეთქვა, ეკლესიაში გიორგის შემდგომ დარეჯანი მოეხსენიებინათ მარიამის ნაცვლად. შეწუხებულმა მეფემ დედოფალთან შემდეგი დააბარა: „მენაღე და ცოლი მისი, მექუდე და ცოლი მისი, ერთნი არიან ქორწინებითა. არა შეიძლება მათი დაშორება, და ნუ აშფოთებს ერსა მას და თვისსა თავსა უსამართლოითა თხოვითა“. დარეჯანთან ერთად პრობლემას უქმნიდა თავისი ძმა, ერეკლე მეორის ძე ფარნაოზი, რომელიც „ხმლით მიხდომას“ აპირებდა გიორგისთან, თუმცა მან „შეუთვალა ტუქსვა და უბრძანა დუმილი“, რამაც დროებით იმოქმედა მოწინააღმდეგე ბატონიშვილზე. ერეკლე მეფის ძენი იულონი, ვახტანგი და მირიანი მარტში მივიდნენ თელავში და შეფიცეს ერთგულება, რა თქმა უნდა ეს ქმედება მათი მხრიდან წრფელი არ ყოფილა. დედოფალი დარეჯანიც კი ვერაფერს ბედავდა კათალიკოსის ჩაგონებით.¹³ მათი მხრიდან მორჩილება, რა თქმა უნდა, მოჩვენებითი და დროებითი იყო, რეალურად არცერთი მათგანი არ შეურიგდებოდა გიორგის მეფედ ყოფნის ფაქტს ეს აშკარა იყო.

ჩემი აზრით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვიდრე გიორგი არ დაბრუნდა თელავში, მანამდე ერეკლე მეფე არ დაუკრძალავთ. ეს ცერემონია მისი გარდაცვალებიდან

¹² მ. დუმბაძე. ერეკლეს მეფობის უკანასკნელი წლები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 774.

¹³ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. „ფედერაცია“, თბ., 1936, გვ. 50-51.

ორმოცი დღის შემდგომ იქნა ჩატარებული. მართალია იმ პერიოდში შავი ჭირი იყო გავრცელებული და ამ ფაქტმაც შეათერხა ზემოთ ნახსენები პროცესი, თუმცა ამის გაჭიანურების უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ვფიქრობ, იყო ის, რომ ჯერ კიდევ არკვევდნენ და ბოლომდე ვერ გაერკვიათ სამეფო კარის წარმომადგენლებს, კონკრეტულად კი დედოფალს და ბატონიშვილებს რა ძალაუფლება ქონდათ მათ. რა თქმა უნდა, წესის თანახმად გიორგი უნდა გამხდარიყო მეფე, თუმცა როგორც უკვე დავინახეთ და ვთქვით კიდევ, დარეჯანს საკმაოდ დიდი პრეტენზია ქონდა ტახტზე და თავდაპირველად მას მოუნდა ეკატერინე მეორის მსგავსად სამეფოს მართვა. ეს რომ არ გამოუვიდა შემდგომ იულონის გამეფებისთვის დაიწყო ბრძოლა, თუმცა ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო და დროებით მაინც მოუწიათ შეგუება ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე გიორგი მიელოთ მეფედ. მოგვიანებით კი ამას მოყვა გაუთავებელი ბრძოლები, არეულობა და დაპირისპირება ქვეყნის შიგნით, სამეფო ოჯახში.

აღსანიშნავია, გიორგიზე საუბრისას ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა დამოკიდებულებას ვხვდებით მის მიმართ. იგი ზოგიერთი ისტორიკოსისათვის უნიათო და არათრის მაქნისი მეფე გახლდათ. მართალია უმცირესობისთვის, მაგრამ ზოგისთვის ის არ იყო ისეთი უარყოფითი პერსონა საქართველოს ისტორიაში როგორადაც არის დახასიათებული. საყოველთაო აზრით მას სამშობლოს მდგომარეობა ნაკლებად აღელვებდა და მხოლოდ საკუთარ თავზე და ტახტის ბედზე დარდობდა. მარტივია, გიორგის დააბრალო ყველაფერი, ხოლო თუ სხვა კუთხით შევხედავთ ბევრ რამეს დავინახავთ. კონკრეტულად კი იმას, რომ გიორგის ბრალეულობა არცთუ ისე დიდია. დავიწყოთ იმით, რომ იმ პერიოდში ზოგადად საქართველოში იყო ცუდი მდგომარეობა შექმნილი ერეკლეს დროიდან მოყოლებული. მეფეს ნამდვილად არ გადაუბარებია მემკვიდრისთვის უზრუნველი და ყოვლად მონესრიგებული ქვეყანა. ძალიან ბევრი პრობლემა არსებობდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო მხრივაც, დაძაბული იყო ურთიერთობა მეზობლებთან. ამ ყველაფრის მოგვარება კი უძლიერესი მეფისთვისათ რთული იქნებოდა, არათუ გიორგისთვის. მას თითქოსდა ეს ყველაფერი არ ყოფნიდა, დაემატა დედინაცვლისა და ძმების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა. ისინი გამუდმებით ურთულებდნენ ყველაფერს. ასეთ ვითარებაში მეფეს საქართველოზე

ეზრუნა თუ თავისი ოჯახის წევრებისათვის გაენია წინააღმდეგობა. მე არ ვამბობ, რომ იგი იმდენადვე ძლიერი და კარგი მეფე იყო ჩვენი ქვეყნისთვის და იმდენივეს გაკეთება შეეძლო, რასაც ერეკლე აკეთებდა საქართველოსთვის, მაგრამ ისეთ „წყალწაღებულად“ არ ვთვლი, როგორადაც ხშირად არის დახასიათებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას რომ ბრძოლისა და აჯანყებების მაგივრად გვერდში დადგომოდნენ ბატონიშვილები და დარეჯანი, ვფიქრობ, უკეთესი მეფე იქნებოდა და უფრო შეძლებდა საქართველოსთვის კარგის გაკეთებას, რადგან ორიენტაცია მხოლოდ სამშობლოს გაძლიერებაზე და გარე მტრის დამარცხებაზე ექნებოდა, და არა თავისი ოჯახის წევრებთან ბრძოლაზე და სამეფო ტახტის შენარჩუნებაზე. ერთ-ერთი მიზეზი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობისა სწორედ ზემოთ აღნიშნული დაპირისპირებებია. პლატონ იოსელიანის თქმით, ძმებისაგან და გარე მტრისაგან შეწუხებული მეფე „არღა ჰხედავდა ქვეყანასა მტკიცედ დაბინავებულად“.¹⁴ სწორედ ამის გამო გადაწყვიტა რუსეთი თავის მთარველად გაეხადა, ამასთან მიზეზი ისიც იყო, რომ იმპერატორი გიორგის შეპირდა მისი გარდაცვალების შემდგომ ტახტზე მის ძეს დავითს აიყვანდა და არა გიორგის რომელიმე ძმას.

გიორგი XII-ს სამშობლოს ბედი რომ აღელვებდა და საქართველოს ერთიანობა სურდა ეს ჯერ კიდევ მის გამეფებამდე გამოავლინა თავისივე სიტყვებში. კონკრეტულად კი, იმერეთის შეერთება არ შეერთებასთან გამართულ დავაში ერეკლე დაინტერესდა მომავალი მემკვიდრის აზრით, მისი პასუხი კი ასეთი იყო: „ხელწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ჰხედავ, იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა, თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა, - იტყვის წინასწარმეტყველი დავითი. სამეფო ისაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, - ბრძანებს მაცხოვარი“.¹⁵ მართალია, ერეკლეს გიორგის აზრის სასარგებლოდ არ მიუღია

¹⁴ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. „ფედერაცია“, თბ., 1936, გვ. 92.

¹⁵ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. „ფედერაცია“, თბ., 1936, გვ. 17.

გადაწყვეტილება, თუმცა მოყვანილი მონაკვეთიდან კარგად ჩანს მემკვიდრის დამოკიდებულება და აზროვნება, რაც ჩემი აზრით ნამდვილად არ ემთხვევა ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ გიორგის უარყოფით დახასიათებას. ვფიქრობ ამასვე ადასტურებს შემდგომი: „ოდეს განჯაზღედ გაილაშქრა მეფემან ირაკლი, მაშინ მეფის ძე გირგი განაგებდა სამეფოს. დიდად ბეჯითად აშველებდა ურმებსა, ტყვია-წამალსა და კაცთა ცხენოსანთა“. ¹⁶ ამ ყველაფერიდან კარგად ჩანს, რომ მემკვიდრე ცდილობდა მონაწილეობა მიეღო სამეფო საქმეებში და დახმარებოდა ერეკლეს.

გიორგის მეფობა საკმაოდ მძიმე პერიოდს დაემთხვა და ამას ემატებოდა ის ფაქტი, რომ სამეფო ოჯახის წევრების უმეტესობა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი და ცდილობდნენ ტახტიდან ჩამოეგდოთ. თუნდაც ავიღოთ დარეჯან დედოფალი, რომლის პოზიცია საკმაოდ კარგად ჩანს ბევრ წერილობით წყაროში. იმის მაგივრად, რომ არსებულ რთულ ვითარებაში სამშობლოზე ებრუნა და გერს დახმარებოდა ყოველმხრივ, მაქსიმალურად ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა, რათა ტახტზე გიორგის მაგივრად თავისი ძე, იულონი ასულიყო. შესაძლოა დარეჯანი ვერ იაზრებდა თუ რა ცუდ დღეში იყო საქართველო და რას უკეთებდა თავისი ქმედებით ქვეყანას, ან იაზრებდა და უბრალოდ იმდენად ყავდა დაბრმავებული სურვილს, სამეფო ტახტი თავის შვილს დაეკავებინა, სამშობლოს მდგომარეობა მეორე ხარისხოვნად მიაჩნდა.

გიორგის გამეფებიდან ოთხი თვის შემდგომ ძმებმა მას ამბობება მოუწყვეს. იულონი გამეფდა ქართლში, იგი აღიარებდა თავის უფლებას ტახტზე ერეკლე მეორის ანდერძიდან გამომდინარე. ვახტანგი, რომელიც იყო არაგვის განმგე, თავს მეფისგან დამოუკიდებლად თვლიდა და არ ემორჩილებოდა მას, როგორც ბატონი და ერისთავი ძველი წესით არაგვისა. მირიანი გაბატონდა მარტყოფში, ფარნაოზი კი სურამში. ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში წავიდა და შეევედრა ყაენს დახმარებოდა, როგორც რუსეთის მტერი. ანდერძის თანახმად ჯერ უნდა ემეფა გიორგის, შემდეგ მის ძმას იულონს, შემდგომ მირიანს, ვახტანგს, ალექსანდრეს, ფარნაოზს. ფარნაოზის შემდგომ მეფობის უფლება გადავიდოდა მეფე გიორგის შვილზე დავითზე და შემდგომ

¹⁶ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. „ფედერაცია“, თბ., 1936, გვ. 49.

მის ძმებზე მორიგეობით. გიორგიმ თავის შვილები დავითი და იოანე დაიბარა და უთხრა, რომ წასულიყვნენ სურამში ქართლის ჯარით და იქ გამაგრებული ფარნაოზისთვის მორჩილება მოეთხოვათ. ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში აეღოთ ციხე და თვალეხი დაეთხარათ ბატონიშვილისთვის.¹⁷

ერეკლეს სიცოცხლეშიც კი დედოფალი შეპყრობილი ყავდა იმაზე ფიქრს, თუ როგორ შეეშალა ხელი მემკვიდრისთვის. ალა-მაჰმად ხანის შემოსვლამდე მივიდა ელჩი ზიათ-ხან ხოელი, რომელიც ერეკლესგან მოითხოვდა რუსეთის უარყოფას, სპარსეთის მფარველად აღიარებას და მძევლებს. გიორგიმ, როგორც მემკვიდრემ შესთავაზა, რომ დავითს, თავის შვილს გააგზავნიდა მძევლად, ხოლო თვითონ წარდგებოდა ყაენის კარზე და მონყალებს ითხოვდა, რათა საქართველოს არ შეხებოდნენ. შვილს დაუტოვებდა თვითონ კი უკან დაბრუნდებოდა. ეს აზრი კი ძალიან არ მოეწონა დარეჯანს, რადგამ ეშინოდა გიორგი არ მისულიყო სპარსთა ჯარით და არ გამეფებულიყო სპარსთა ძალით ერეკლეს სიცოცხლეშივე. ასევე კარგად გიორგისადმი დამოკიდებულება დედინაცვლისა და ძმათაგან მოცემული მონაკვეთიდან: „დედოფალი დარეჯან და შვილნი მისნი, არა მოსურნენი მეფისა გიორგისა, მეცადინეობდნენ იღუმალ, რათა სიტყვთა და საქმითა ალაფუნ შოთი, ამბოხი, ურჩება და უწესობა და გარემოსდვან მეფისა გიორგისა ტახტსა ცეცხლი და სისხლი განსათუცხებლად მეფისა, გარნა ბუნებით და სიბრძნით აუჩქარებელისა“.¹⁸

მამის გარდაცვალების შემდგომ ალექსანდრე ბატონიშვილი განსაკუთრებულ შეურიგებლობას იჩენდა. მას არ ჯეროდა, რომ გიორგი XII შეასრულებდა ერეკლე მეფის ანდერძს, რომლის თანახმადაც გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი შვილების ნაცვლად უფროს-უმცროსობის მონაცვლეობით ძმები უნდა ასულიყვნენ. 1799 წლის დეკემბერში, სიონის ტაძარში გიორგი XII-ის საზეიმოდ მეფედ კურთხევის დროს პავლე I-ის მიერ მუდმივ წარმომადგენლად მოვლენილმა კოვალენსკიმ იმპერატორის გამოგზავნილი სიგელისა და სამეფო ინვესტიტურის ნიშნების გიორგი XII-ისათვის გადაცემასთან ერთად საჯაროდ გამოაცხადა, რომ პავლე პირველი საქართველოს

¹⁷ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. „ფედერაცია“, თბ., 1936, გვ. 57-58.

¹⁸ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. „ფედერაცია“, თბ., 1936, გვ. 49-51.

თავისი მფარველობის ქვეშ იღებდა, მის კანონიერ მეფედ გიორგი XII-ს ამტკიცებდა და ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილს აღიარებდა.¹⁹ რუსეთი ქართლ-კახეთში არსებულ ვითარებას კარგად იყენებდა.

საინტერესოდ იკვეთება დარეჯანის სახე მიმდინარე პროცესებში. მასზე უკვე საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ სხვადასხვა მონაკვეთში, თუმცა მის პერსონასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. იგი არ იყო მომხრე რუსეთთან ურთიერთობისა, რადგან თავიდანვე მიმხვდარიყო იმპერიის ზრახვებს და ყოველმხრივ ცდილობდა ერეკლესთვის დაენახებინა მისი ნამდვილი სახე. ეს ყველაფერი უშედეგო იყო, რადგან მეფე მყარად იდგა თავის მოსაზრებაზე და ვერაფერი ვერ გადაარწმუნებდა მას, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა არ დაემყარებინა. დარეჯანმა როდესაც ეს გააცნობიერა და მიხვდა რომ აზრი არ ქონდა ერეკლესთვის რაიმეს მტკიცებას თავი დაანება მეფის გადარწმუნებას. დედოფალს გიორგის მაგივრად ტახტზე ასვლაც იმის გამო უნდოდა, რომ ხედავდა გიორგი რამხელა დათმობებზე მიდიოდა იმპერიასთან და ეს რა შედეგებს მოუტანდა ქართლ-კახეთს. იგი შეთქმულებებსაც არ ერიდებოდა იმპერიის წინააღმდეგ. საქართველოში იწყებოდა ცნობილი 1802 წლის აღრევა, და ყველა ამბების ძაფები დედოფალ დარეჯანს ხელთ ეპყრა, მისი ქალების, თეკლა და ქეთევანის დახმარებით. თუმცა მისი ყველა მცდელობა უშედეგო იყო და დედოფალმა ვერ შეძლო საქართველო ეხსნა რუსეთისა.²⁰

იმპერატორმა პავლე I-მა დააკმაყოფილა გიორგი XII-ის თხოვნა და ტახტის მემკვიდრედ დავითი დაამტკიცა. ამ ამბავმა გიორგის ნახევარძმების აღშფოთება გამოიწვია. მეფემ ვიწრო წრეებთან თათბირის შემდგომ გადანყვეტილება მიიღო, შეეცვალა ტრაქტატის ზოგიერთი პირობა. კერძოდ, რუსეთს მიეცა უფლება ჩარეულიყო ქართლ-კახეთის შიდა საქმეებში. ამის სანაცვლოდ გიორგი გარანტიას ითხოვდა რუსეთისგან, რომ სამეფო ტახტი მის შთამომავლობას დარჩებოდა. ეს გადანყვეტილება

¹⁹ ე. ორჯონიკიძე. ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. „მეცნიერება“, თბ., 1999. გვ. 3.

²⁰ თ. პაპავა. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. „მერანი“, თბ., 1990 წ. გვ. 243-287.

თავად დავით გიორგის ძისტვისაც კი არ იყო ცნობილი.²¹ რთული მისახვედრი არაა, რომ მეფის ამგვარი ქმედება სამეფო კარის დანარჩენ წევრებს არ მოეწონებოდათ და ისედაც დაძაბულ ურთიერთობას მეტად გაართულებდა. შავლე I-ს განზრახული ჰქონდა გიორგის შემდგომ საქართველოს ტახტზე აღარ აეყვანა მეფე და ბაგრატიონთა სამეფოს არსებობისთვის წერტილი დაესვა. შემდგომში დავითი უბრალოდ გამგებლად იქნა დანიშნული. ყოველივე ამაში კი ნებით თუ უნებლიედ გიორგი XII ხელს უწობდა იმპერიას. მისი პოლიტიკური კურსი ნამდვილად სავალალო აღმოჩნდა, როგორც ქართლ-კახეთისთვის, ასევე მთლიანად საქართველოსთვის. ნუთუ მეფეს მართლა ჯეროდა რუსეთის კეთილგანწყობის და იმის, რომ საქართველოს დასაცავად იმპერია ძალ-ღონეს არ დაიშურებდა.

²¹ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 803-804.

თავი II

სამეფო კარის წევრთა დაპირისპირების გამწვავება

გიორგი XII-ის მძიმე ავადმყოფობასთან დაკავშირებით სასტიკი ბრძოლა გაიმართა სამეფო სახლის შიგნით ტახტის დაუფლებისათვის. იგი 1800 წელს გარდაიცვალა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბატონიშვილთა უფროსი და უმცროსი შტოები, რომლებიც იულონ ერეკლეს ძისა და დავით გიორგის ძის გარშემო დაჯგუფდნენ. დარეჯანმა კვლავ ცადა ტახტზე ასვლა, თუმცა ისევ უშედეგოდ. რეალურად, დაპირისპირებას სამეფო ოჯახს შორის მწვავე ხასიათი მიეცა მას შემდეგ, რაც გიორგი მეფემ დაარღვია 1797 წლის დოკუმენტით დადებული პირობა თავისი სახლისშვილებისადმი, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

1. „პირველი ესე: ჩვენი ხელნივე მამა ღმერთმან მრავალს წელს გვიცოცხლოს, ყოვლითურთ მისის ბრძანების მორჩილნი და დამამტკიცებელნი ვიყვნეთ და ყოვლის ჩვენის შეძლებით სამსახურის მცდელნი.
2. მეორე ესე: ღმერთმან დიდ ხანს აცოცხლოს ჩვენი ხელმწიფე დედა, დედოფალი დარეჯან. მანამდის ცოცხალი ბრძანდება, რაც დღეს მდგომარეობა აქუს, ამ პატივით და ამ ოქმათით და ამ საქმეებით მოუშლელად ბრძანდებოდეს.
3. მესამე ესე: რომელიც დღეს ჩვენი მამულები გვიჭირავს, მეფის ერეკლეს ბრძანებით, ეს საუკუნოდ და საშვილისშვილოდ მოუშლელად გუქონდეს.
4. მეოთხე: ღმერთმან დიდხანს აცოცხლოს ყუელანი, მაგრამ საქართველოს მეფობა უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით იყოს ძმებზედ.
5. მეხუთე ეს: ჩვენი უმცროსი ძმები ჩვენთან მოვიყვანოთ, შემოვიერთოთ და, თუ რამ აკლდესთ, სამართლიანის საქმით და შეძლებით შეუსრულოთ.
6. მეექვსე ეს: რომელიც ჩემი შვილები არიან, იმათგანაც ხათრიჯამნი იყავით, რომ ამ ჩვენს პირობაებს არ ეწინააღმდეგომნენ და ყოვლისფრით თანმოკიდებულნი და დამამტკიცებელნი იყუნენ.

7. მეშვიდე ეს: რომელიც ჩვენის ოჯახის საზოგადო საქმე იყოს და ან საქვეყნო და ან ვისიმე და მოგვრება ჩვენის ოჯახისა და ან ხელმწიფეებთან, და ან ჩვენს მეგობლებთან ლაპარაკი, ერთმანეთის შეკითვით მოხდებოდეს.
8. მერვე: რომელმაც ჩვენის ოჯახის შვილმაც ამ პირობის დახსნა მოინდომოს, ჯერ დიდად ვეცადნეთ, რომ ისევ ამაზედ მოვიყვანოთ. თუ რომ არ იქნას და არ იქნას, მასუკან, რაც შეგვეძლოს, ჩვენი ძალი იმაზედ უნდა მოვიხმაროთ ბატონმა დედოფალმა დედა ჩვენმა და ჩვენ, სამთავ ძმათ.

ეს რომელიც პირობაები თქვენ, ჩემა ძმებმა მთხოვეთ, ამ პირობაებს, ყოვლად ძლიერის ღმრთის სახელით, გაძლევ, რომ თუ თქვენ ჩემზედ არა იმტყუვნოთ რა, არცარა მე თქვენზედ ვიმტყუვნო და არც ეს პირობაები გაგიტეხო“.²²

გიორგიმ ზემოთ ნახსენები პირობები დაარღვია და სწორედ ამან გამოიწვია ძმების განრისხება. მან რუსეთის იმპერატორს, როგორც უკვე აღვნიშნეთ საკუთარი შვილის-დავითის მემკვიდრედ დამტკიცება თხოვა. პავლე პირველმა კი მისი თხოვნა დააკმაყოფილა. მეფე ქრისტიანულ-მორალური პოლიტიკის მიმდევარი მმართველი იყო. მან ნამდვილად ზედმეტი ნდობა გამოუცხადა რუსეთის იმპერატორს და თავისი „სათხოვარი პუნქტებით“, არა მარტო ხელი შეუწყო თვითმპყრობელობის გეგმათა რეალიზაციას, არამედ საფუძველიც კი მისცა მის გარშემო მყოფ პოლიტიკურ მოღვაწეებს ბრალი დაედოთ მისთვის იმაში, რომ ქართული სამეფოს ინტერესებს უღალატა.²³ გიორგი, როგორც პ. იოსელიანი გადმოგვცემს, თვლიდა, რომ მის მიერ რუსეთთან გაფორმებული სამფარველო ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე იქნებოდა უცხო ქვეყნის ბატონობა, საქართველოს კარგ შედეგებს მოუტანდა. როგორც ჩანს, ასეთი გაგებით აღჭურვილი სუსტი ნებისყოფის მეფე თავდაცვის არავითარ ღონისძიებას არ იღებდა. მან სათანადოდ ვერ განჭვრიტა მომავალი საფრთხე, რომელიც ბაგრატიონთა

²² ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, „მეცნიერება“, თბ., 1965. გვ. 532-533.

²³ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, ტბ., 1973, გვ. 802-808.

ხელისუფლებას ემუქრებოდა.²⁴ ასევე ნელ-ნელა ჩამოართვა უფლებები დარეჯან დედოფალს, რამაც ის კიდევ უფრო დაუპირისპირა გიორგის. შეთანხმების მიხედვით კი დედოფალს სიცოცხლის ბოლომდე უნდა ქონოდა ყველა უფლება და პრივილეგია, რაც გიორგის გამეფებამდე ქონდა.

ერეკლე II-ის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს შორის მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილი დარჩა სიცოცხლის ბოლომდე რუსული ხელისუფლების მიმართ შეურიგებელ პოზიციებზე. მან მთელი თავისი ენერგია შეაღწია ბაგრატიონთა ასწლოვანი დინასტიის აღდგენისათვის ბრძოლას და ამ მიზნის მისაღწევად უცხო ძალის გამოყენებასაც არ მორიდებია. ალექსანდრე ცდილობდა ამიერკავკასიაში მომხდარი ყველა პოლიტიკური მოვლენა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ერთადერთი ოცნება, საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა, განეხორციელებინა. მსგავსი დაპირისპირება ბაგრატიონთა სახლის წევრებს შორის, რა თქმა უნდა, რუსთა იმპერატორისათვის ხელის შემწყობი ფაქტორი იყო, რადგან ისედაც დასუსტებული ქართლ-კახეთი ურთიერთბრძოლაში კიდევ უფრო უუნარო გახდებოდა და ნაკლებ წინააღმდეგობას გაუწევდა იმპერიას. ყოველივე ამას კი კარგად აანალიზებდა პავლე პირველი ქართველთა უმეტესი ნაწილისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ძალაუფლებასა და სამფლობელოების გაზრდაზე ფიქრობდნენ.²⁵

თავდაპირველად, ქართველი ხალხი სანამ გაანალიზებდა იმპერიის ნამდვილ ბრახვას, გახარებული იყო იმ ფაქტით, რომ ქართლ-კახეთში რუსთა ჯარი შემოვიდოდა. გლეხები გადაქანცული იყვნენ ფეოდალური ჩაგვრითა და ამდენი ბრძოლით. ფაქტობრივად მიწის დამუშავებასაც კი ვეღარ ახერხებდნენ გარე მტრის მუდმივი შემოსევების გამო. დამხმარე ძალა კი შვებად მიაჩნდათ ირან-ოსმალეთისა, თუ კავკასიის სხვა ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. თბილისელთა ვაჭრების უმრავლესობაც მხარს უჭერდა რუსეთის ბატონობის დამყარებას საქართველოში. ისინი ფიქრობდნენ, რომ

²⁴ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. „ფედერაცია“, თბ., 1936, გვ. 57.

²⁵ ე. ორჯონიკიძე. ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. „მეცნიერება“, თბ., 1999, გვ. 1.

ძლიერი ხელისუფლება უკეთესად დაიცავდა მათ ინტერესებს.²⁶ მაგრამ მალევე გახდა ცხადი, რომ რუსეთის ჯარის წყალობით მოპოვებული სიმშვიდე უბრალოდ ილუზია იყო.

ბატონიშვილებს შორის ურთიერთობა დროთა განმავლობაში უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. გამოიხატა ორი საპირისპირო დაჯგუფება, ერთი მხრივ დარეჯან დედოფლის ირგვლივ შემოკრებილი ერეკლე II-ის შვილები და მათი მომხრეები, მეორე მხრივ კი გიორგი XII-ის შვილები თავისი მომხრეებით, რომლებიც ფაქტობრივად სხვადასხვა ორიენტაციის იყვნენ. დარეჯანი მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ტახტი დაებრუნებინა თავისი შვილებისთვის და ის ყოველმხრივ ეხმარებოდა და გვერდში ედგა ბატონიშვილებს. ქართველ ფეოდალთა შორის ამ ორი მტრული პარტიის გარდა არსებობდა კიდევ ერთი მცირერიცხოვანი დაჯგუფება, რომელიც რუსეთთან სრული შეერთების მომხრე იყო. ფეოდალთა ერთი ნაწილი კი, ქართველი მეფის სუვერენულ უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ფიქრობდა, რომ ქვეყნის შინაგანი გაერთიანებისა თუ საგარეო პოლიტიკაში დიპლომატიური მანევრების გზით შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. დაპირისპირებულ მხარეებს შორის სადავო, არა მარტო ტახტის დაუფლება იყო, არამედ მეფის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკის კურსი. ერეკლეს შვილები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის დასაინტერესებლად საკუთარი უფლებების მაქსიმალურად დათმობა და საქართველოს ავტონომიის უკიდურესობამდე შეზღუდვა, ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. უკმაყოფილო ბატონიშვილები საუფლისწულოებში წავიდნენ და თავიანთ ერთგულებაზე ხალხის დაფიცებას შეუდგნენ. მეფე გიორგიმ დარეჯან დედოფალს მამულები ჩამოართვა, იულონ ბატონიშვილის, როგორც ტახტის მემკვიდრეებს შორის ყველაზე სერიოზული პრეტენდენტის უვნებელსაყოფად გორში და სურამში, იულონის საუფლისწულოში, რუსის ჯარი ჩააყენა. ამ ყველაფრით გაღიზიანებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა 1799 წელს გადაწყვიტა ირანში გაქცეულიყო. მან ისარგებლა იმ გარემოებით, რომ სპარსეთის ჯარი ხოის მფლობელის, ჯაფარ-ყული ხანის დასასაჭელად იყო შემოსული და თავის

²⁶მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 804.

საუფლისწულო შულავერიდან პირდაპირ მათკენ გაეშურა. რუსები ეცადნენ ბატონიშვილი დაებრუნებინათ, თუმცა უშედეგოდ. ბატონიშვილმა შეძლო თავისი ხალხით ხლებოდა ირანის ტახტის მემკვიდრეს, აბას-მირზას და დახმარება ეთხოვა ტახტის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ალექსანდრეს ეს თხოვნა ირანის მემკვიდრეს ესიამოვნა და ჯარების შემოტრიალების შემდგომ ერევნისაკენ დაიძრა.²⁷

ერევანთან დაბანაკებული აბას-მირზა შეეცადა განჯის, ყარაბაღის, შაქის და ავარიის ხანები შეეგულიანებინა, რათა ერთობლივი ძალით გამოეღაშქრათ საქართველოსკენ. იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები კი ცდილობდნენ თბილისში შესულიყვნენ და დარეჯან დედოფალი წაეყვანათ, თუმცა მიზანს ვერ მიაღწიეს. ცნობის მიღებისთანავე, რომ რუსთა ჯარის დამატებითი პოლკი გამოიგზავნა საქართველოში, თითქმის თბილისამდე მისული აბას-მირზა აიყარა და თავრიზში გაბრუნდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კი ყარაბაღის სახანოში დატოვა.²⁸ გიორგი XII და რუსული ხელისუფლების წარმომადგენლები კარგად აცნობიერებდნენ რომ ბატონიშვილის იქ ყოფნა კარგს არ მოასწავებდა, რადგან იცოდნენ ალექსანდრეს შეურიგებლობის ამბავი და იმასაც კარგად ხვდებოდნენ, რომ იგი ყველაფერს გააკეთებდა, რათა ახალი დამხმარე ძალით დაბრუნებულიყო ძმისა და რუსთა წინააღმდეგ.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი XII, რამდენიმე დღის შემდგომ კი თბილისში დაბრუნდნენ მის მიერ პეტერბურგში მივლენილი ელჩები, რომელთაც მისი უფროსი ვაჟი დავითი გამოაცხადეს „საქართველოს მემკვიდრედ და მმართველად“. დავით ბატონიშვილმა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად იმპერატორთან ელჩები გაგზავნა და ითხოვა ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცება, მანამდე კი ენერგიულად შეუდგა თავის ერთგულებაზე ქვეშევრდომების დაფიცებასა და სამეფოს მართვას. ამავე დროს პავლეს მთავრობა უკვე ახორციელებდა პირველ ღონისძიებებს ბაგრატინოთა ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის. დავითი სათანადოდ ვერ გაერკვა

²⁷ Акты, собранные Кавказскою Агхеографическою Комюмиссие ; Т. I напечатанъ подь редакциею предьседателя комиссии, ст. сов. АД. Берже, Тиф., Въ. Тирографии Главнаго Управления Намьстника Кавказского, 1866, გვ 115-118.

²⁸ ე.ორჯონიკიძე. ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. „მეცნიერება“, თბ., 1999. გვ. 4-5.

შექმნილ ვითარებაში, თავის შინაპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს დაერია და რაიმე არსებითი ღონისძიება არ მიუღია, რომ ხელისუფლების დაკარგვის საფრთვე აეცილებინა თავიდან.²⁹ შექმნილმა გარემოებამ ბატონიშვილების გააქტიურება გამოიწვია. ისინი თავის მხრივ იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე აფიცებდნენ ხალხს და მარტყოფში შეკრებილნი ტახტის მოსაპოვებლად გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. 1800 წელს იულონმა, ვახტანგმა და ფარნაოზმა გაიგეს, რომ იოანე ბატონიშვილი რუს-ქართველთა ერთობლივი ჯარით მათ წინააღმდეგ წამოსულიყო, ამიტომ იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები ქიზიყისაკენ წავიდნენ, რათა იოანესათვის დაესწროთ, ფარნაოზი კი ქართლში გაგზავნეს. ძმებმა შემდგომში იმერეთს შეათარეს თავი, რათა მოწინააღმდეგეს არ შეეპყროთ. რუსული ხელისუფლება კი შეეცადა ალექსანდრე ბატონიშვილის გული მოეგო და რუსეთში წასვლაზე დაეყოლიებინა, თუმცა უშედეგო გამოდგა ეს ცდა, როგორც ყველა სხვა დანარჩენი.³⁰ ალექსანდრე არ აპირებდა დანებებას და ვიდრე ძალა შესწევდა მუდამ იბრძოლებდა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის. თუმცა ყოველივე ეს არ იყო მარტივი, რადგან რუსეთი ყველა ღონეს ხმარობდა ბაგრატიონთა სამეფო წევრების მოსაშორებლად და რუსეთში გასამგზავრებლად. წინამძღოლის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას კი გაუჭირდებოდა წინააღმდეგობის განევა იმოერიისათვის, რაც გაუმარტივებდა ქართველთა სამუდამოდ დამორჩილებას. როგორც ჩანს ამ ყველაფრის დანახვა რთული საქმე აღმოჩნდა სამეფო კარის წევრთათვის. სხვა შემთხვევაში ისინი ურთიერთ ბრძოლისა და განადგურების ნაცვლად ერთმანეთს ამოუდგებოდნენ მხარში და ერთიანი ძალითა და გარე დახმარების მეშვეობით შეეცდებოდნენ რუსების დახმარებას. მართალია, ყოველივე ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და შესაძლოა აუხდენელ ოცნებადაც კი დარჩენილიყო, მაგრამ ბატონიშვილებს ერთად უნდა გაეკეთებინათ მაქსიმუმი და არა ცალცალკე, რათა მიზანს მიახლოვებდნენ მაინც. თანაც არ იყო

²⁹ **მ. დუმბაძე.** ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 814-815.

³⁰ **АКТЫ,** собранные Кавказскою Агхеографическою Комюмиссие ; Т. I напечатанъ подъ редакциею председателя коммиссии, ст. сов. АД. Берже, Тиф., Въ. Тирографии Главнаго Управления Намъстника Кавказского, 1866, გვ. 284.

როული მისახვედრი რა განზრახვა ამოძრავებდა იმპერიას და რას წარმოადგენდა მისი საბოლოო მიზანი.

ბაგრატიონთა სამეფო კარზე არსებულ დაპირისპირებაზე საინტერესო ცნობებს გვანვდის ბატონიშვილთა წერილები. აღნიშნული წერილები გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილმა 1900 წელს. ერთ-ერთი ასეთია დავით და იულონ ბატონიშვილების წერილი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „ქ. მათს სამღვდელეობას ნეკრესელს ეპისკოპოსს უფალს ამბროსის და თავადთ რუსისშვილებს აბიბოს და სხვათა და მორდლისშვილებს საქართველოს მეფის ძეთ იულოის, ვახტანგისა და მირიანისა და ფარნავოზისა მიერ მრავალის პატივისცემით მოკითხვა ეუწყოთ. მერე ეს განგეცხადოთ თქვენ, რომ რაც ჩვენს ძმას მეფეს გიორგიზედა ჩვენ სიკეთეები მიგვიძღვის ხომ ყველა კარგად იცით, როდესაც სანატრელი ჩვენი ხელმწიფე ბატონი მამა ჩვენი მიიცვალა მასუკან, ან როგორ გავამეფეთ, ან როგორ ერთგულება და სიყვარული ვაჩვენეთ და ან იმისი სამსახური და სიამოვნება როგორც მოვინდომეთ, მაგრამ რაც იმისი მაგიერი ავი საქმეები მოგავდგა იმისგან, ან ბატონს დედოფალს დედა ჩვენს, და ან ჩვენ ძმებს, ის ხომ კარგად იცით, რომ ჩვენგან არცერთი არ დათმობდა, მაგრამ რადგან უფროსი ძმა იყო და მამის ჩვენის ანდერძითაც ის იყო პირველად განსწესებული, ამისთვის დავითმინეთ, და ახლა ჩენის ცოდვითა და უბედურობით ჩვენი ძმა მეფე გიორგი მიიცვალა. თვენ ხომ იცით, მამა ჩვენი მეფე ერეკლე როგორც მოჭირნახულე მეფე იყო ან ოჯახზე და ან ქვეყანაზე, იმისიც მამა იყო და ჩვენიცა, როგორც იმისგან დადებული ანდერძი არის. ხომ კარგად იცით, რომ ძმებზედ უფროს უმცროსობით ჩამორიგებით განენწრა მეფობა და ის განწესება ქვეყნისაგან დაბეჭდილი და დამტკიცებულია, ახლა ის უამი მოვიდა, მეფის გიორგის შემდგომი ძმა ვინცა ვარ ხომ კარგად იცით, ამას წინაღვე იმისის დიდებულების ჩვენის მონყალის ხელმწიფის რუსეთის იმპერატორისთვისაც გამოგვიცხადებია ჩვენ ეს საქმე, აგრეთვე რომელიც მესამზღვრე მთავარი ბრძანდება ისპეხტორისათვისაც, აგრეთვე აქ მყოფის იანარალისთვისაც და აგრევე სხვათათვისაც. ლ-თის სამართლით და მამის ჩვენის განწესებულის ძალით ახლა ჩვენ ამას გწერთ, რომ, როგორც თქვენს მამის ჩვენის ერთგულებას შეეფერებოდეს, იმისგან განწესებულსა და თქვენგან დამტკიცებულზე ისე მტკიცედ უნდა დასდგეთ, თქვენგან ჩვენის მამის ერთგულების გამო ეს იმედი გვაქვს,

რომ თუნდა ჩვენ არ განვიოთ და არ შეგატყობინოთ, თვითონ თქვენ განგვალვძებთ ამ საქმეზე და თვითონ თქვენ მოგვძებნით, ამიტომ რომ ჩვენ ღ-თის მონყალებით თქვენ ასეთს ნამუსიანს და სინიღისიანს კაცად გიცნობთ, რომ მეფის ერეკლეს ანღერძის გატეხას გირჩევიანთ, და ახლა ის უამი არის, რომ ყოველი სრული ერთგულობა და მორჩილება გვაჩვენოთ, თუ ჩვენი წინააღმდეგი გაჩვენოთ ვინმე და ან დაგიბაროთ, არ გაიგონოთ, ჩვენ ამისთვის გწერთ, რომ თქვენ მზას იყვნეთ და როგორც ჩვენი სიტყვა მოგივიღეთ ისე მოიქეციოთ. ამ საქმეზე კიდეც გვედრებით, კიდეც გირჩევთ, კიდეც გიბრძანებთ, რომ ეს ჩვენი სიტყვა გაიგონოთ და დაიჯეროთ ყუელამ, და, თუ თქვენ ამასა იქით რომ ჩვენს სიტყვას მამის ჩვენის განწესებისაებრ დაიჯერებთ და თანახმა გუექმნებით, ჩვენს ამ სიკეთეს გიზამთ: სხვას სიყვარულისა და მწყალობლობის გარდა, რომ თქვენის ცოლისა და შვილისათვის ჩვენს სისხლს დასანთხევად არ დავზოგავთ, და, თუ რომ არ დაიჯერებთ, ჩვენი ამონყვეტა იქნება და ჩვენგან ამ საქმის დათმობა არ იქნება, და ჩვენ უვალონი ვიქნებით და წინაშე ღ-თისა მოვალენი თქვენ დარჩებით, როგორც თქვენ გწერთ, ისე მთელს ქართველთა, კახთა და ტფილისელთა მივწერთ“.³¹

ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე კარგად ჩანს, თუ რა იყო მიზეზი ბაგრატიონთა სამეფო კარზე არსებული დაპირისპირებისა. ძმებს არ მოსწონდათ ის ფაქტი, რომ მამის ანღერძი დაარღვია გიორგიმ, რათა ტახტი მემკვიდრეობით გადაცემოდა მის შთამომავლობას. ბატონიშვილები სწორედ ამ უსამართლობის წინაშე ამხედრდნენ და მოითხოვდნენ, რომ ერეკლეს ანღერძის მიხედვით გადასულიყო მეფობა ძმებზე.

დიდად საინტერესო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი დავითის მიერ გაგზავნილი წერილისგან ბაგრატ ბატონიშვილთან: „ძმაო ბაგრატ! მერე ბატონი დღეს მიიყვალება, ჩვენი ოჯახი არ დააქციო, არ წამოხვიდე, ჩემს მეფობაზედ მანდ ხალხი დაათყუე, ჯარები მზათა გყავდეს. თუ ან იულონმა, დან ან აღმასხანმა გადმოსვლა მოინდომოს და ან ფარნავაზმა, დაჭერილი გამომიგზავნე, და თუ მირიან გადმოვიდეს, ის კი გამოავდე, არავინ გაღუშვა. კახეთის ჯანიშინობა და ფშაველი შენთვის მომიცია, და შენ

³¹ ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფისძე დავით და ბატონიშვილ იულონ. მოამბე, თვიური ჟურნალი, № 4, ტფილისი, 1900, მარტი.

იცო, კარგათ გაისარჯე, ყმანვილი არა ხარ. ქაიხოსრო სალთხუცი გამომიგზავნე, რას გაგიკეთებს, შენმა გაზღამ, და ნინია მდივანი მანდ გყვანდეს, ხოდა შენი კარგათ თუში მოურავი, დავით მდივანი და იესეანი კარგათ ემოიყვარე, მორდლიანთ და რუსიანთ, თავის მამულებს სულ მივცემ. ეხლა სენ იცი, თუ კახეთი დასცალე და წამოხველ, შენს სახლს დაღუპავ. კარგათ ბეჯითი იყავ და თიანეთს დააყენე, თუ ბიძაშენებმა მოინდომონ მანდ მოსვლა, ჯარი მზათა გყვანდეს. ეცადე, რომე კახეთი შენ გაბარია, ისე იცოდე”.³²

წერილიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ დავითსა და ბაგრატს ბიძებთან. ინისი ჯარით დაპირისპირებასაც კი არ ერიდებიან და მზად არიან შეიპყრონ, თუ კახეთში შესვლას დააპირებს ერეკლეს შვილთაგან რომელიმე. რა თქმა უნდა, ერთმანეთის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება არ არის მისაღები, რადგან იმ რთულ პერიოდში სამეფო კარის წევრები ერთმანეთის გვერდში უნდა მდგარიყვნენ და ერთიანი ძალებით შეეცაოთ მტრისთვის, იმის მაგივრად რომ ერთურთის სისხლი დაეღვარათ, თუმცა იმდენად დაბრმავებულნი იყვნენ ტახტის დაკავებით, ამ ყველაფერზე და შემდგომ შედეგებზე არ ფიქრობდნენ.

სამეფო კარის დაპირისპირებულმა მხარეებმა ქართლ-კახეთში დაიწყეს მოკავშირეების ძიება და ისინი ყველა გზას იყენებდნენ მათ მისამხრობად. ამის კარგი მაგალითია დავითის წერილი ბაგრატისადმი: „უგანათლებულესო ჩემო ძმაო საყვარელო ძმაო ბაგრატ! თქვენი ძმა მემკვიდრე დავით მრავალს სიყვარულით მოკითხვასა და უვნებელად ბძანების სიამე მოგხსენდესთ. მერე შენი წიგნი მომივიდა და კახეთის თავადთაგან აზნაურთაგან შემოფიცვა, აგრევე გლეხთაგან დიალ დაგიმადლეთ, და ახლა ეს გვეჭირება, რომ აქედან მოვივა და როგორც ეს შავი იყოს იმისთანა მუჯალამა გააკეთებინო თავადთა, აზნაურთა და სხვათა, და აქ ღენარალ მაიორ ლაზრევს მოართვან. რომ ამისი ნებაც ასე არის, და საჩქაროდ გამოგზავნო. ქიზიყს უნდა ჩახვიდე და მთლად ქიზიყელნი შემოიფიცო და მუჯალამაც გააკეთებინო, და გამოგზავნო. ჩვენც მოგვიწერია ქიზიყელთათვის და შენც უნდა უთხრა: დიდებულის ხელმწიფის ბძანება არის და მეფობა ჩვენი არის, და წყალობაებს დაჰპირდი, აგრევე გალმა მხრელნი შენთან

³² ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფისძე დავით და ბატონიშვილი იულონ. მოამბე, თვიური ჟურნალი, № 4, ტფილისი, 1900, მარტი.

მოიყვანე, მუხლს აკოცინე, რომელთაც მამულები ჰქონდეთ წართმეული, ყველას თავეთს წართმეულის მამულის წყალობის წიგნს მივცემ და მაგათს გულს კარგად მოვიმადრიელებთ ყოველის წყალობითა. ქაიხოსრო სახლთუხუცესი, ლუარსაბ ონანაშვილი და აგრევე სხვანი ტავადნი ყველანი რომ შემოიფიცო და მუჯალამა გააკეთებინო, ეს თავადნი ჩვენთან გამოგზავნე, ყველანი ჩვენთან მოვიდნენ, და რუსის ჯარი რომ გეთხოვნა, რათ გეჭირება? ისინი მანდ ვერ ჩამოვლენ ვისიც გეფიქრებათ, და თუ გეჭირება და საჭირო იქმნება, პატარძეულს ჯარი დგას, იმას მაშინვე ღენერალი მანდ შენთან ჩამოგზავნის და სხვას ჯარსაც სარწმუნო იყავი, ჯერ არ გეჭირება რუსის ჯარი. მანდა როგორც მომიწერია ესენი ყველა ასე უნდა გაარიგო. ჩემი ძმობა და შენის ოჯახის დამკვიდრება ახლა გამოჩნდება როგორც რიგიანად დაიჭერ ყოველს მანდაურს საქმესა. განა კი რუსებთან გვეჭირება მუჯალამა, რადგანაც ხელმწიფის ღრამოტა მაქვს, მაგრამ კიდევ სიმტკიცე არის მაგათგან ჩვენი, რომ გამოაცხადონ თავიანთი თანამდებობა და მას გარდა..... ღთისა დაიბარეს, მითომ შენ გამოჰყვე და შენ წამოასვენო, მაგრამ, თუნდა მამისჩემის ბეჭედი იჯდეს, ის ბეჭდები ხან ასლანს უგდია ხან ხათასა, და ნუ ერწმუნები, ამისთვის რომ მამაჩვენს გონება აღარა აქვს, რომ ან მოიწეროს, რამე და ან სწორე თქვას რამე, არ წამოხვიდე, ხუმრობა არ არის. მაგ საქმეს არ მოეშალო, თუ შენ წამოხველ, ჩემის ძმობაზეცდაც ხელი უნდა აიღო და შენთვისაც საბოლოოდ ავი იქნება. ასე იცოდე დარწმუნებით, ახლა შენ იცი, ამის მეტი აღარას მოგწეროთ“.³³ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დავითი წართმეული მიწების დაბრუნებაზეც კი თანახმაა. მისთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ რაც შეიძლება მეტი თავადი გაიხადოს მოკავშირე. კახეთი ბაგრატს ჩააბარა და მოითხოვდა მისგან არ მიეტოვებინა, რადგან სხვა შემთხვევაში გაუჭირდებოდა კახეთის შენარჩუნება და შესაძლოა იქ მისი ბიძები გაბატონებულიყვნენ და უფრო მეტი დიდებული მიემხროთ.

³³ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფისძე დავით და ბატონიშვილი იულონ, მოამბე, თვიური ჟურნალი, № 4, ტფილისი, 1900, მარტი.

თავი III

დაპირისპირების შედეგი და რუსეთის პოლიტიკა

რომანოვების სახელმწიფო ჩვენს ქვეყანას მხოლოდ თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებით უყურებდა. საქართველო უნდა გადაქცეულიყო ბაზად ახლო აღმოსავლეთის დაპყრობისათვის. მიუხედავად მრავალგვარი ცდისა, რუსეთის სახელმწიფომ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო დაეფარა საქართველოს მიმართ დამპყრობლური პოლიტიკა და მისი მიზნები ნელ-ნელა ცხადი ხდებოდა ქართველთათვის.³⁴

მრავალჯერ იქნა აღნიშნული ის, რომ სამეფო კარის დაპირისპირებამ საკმაოდ ცუდი შედეგი მოუტანა, როგორც ქართლ-კახეთს ასევე მთლიანად საქართველოს. თუმცა ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი მაინც მოახერხებდა საქართველოს დაპყრობას. იგი ბევრად ძლიერი და დიდი სახელმწიფოა ჩვენ ქვეყანასთან შედარებით და შესაბამისად არ გაუჭირდებოდა. მაგრამ თუ საქართველო თავიდანვე ერთიანი ძალებით დაუპირისპირდებოდა და ასევე გამოიყენებდა გარე დახმარებასაც, აღმოსავლეთ საქართველო ნაკლებად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. იმპერია ვერ შეძლებდა ისე ძლიერად გაბატონებას და გარკვეულ დათმობებზე მაინც წავიდოდა. ყველაფერი კი პირიქით მოხდა. მან სათავისოდ გამოიყენა ბაგრატიონთა დაპირისპირება და შიდა ბრძოლაში დასუსტებული ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება გაუმარტივდა.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი მეთორმეტე. რუსეთის იმპერია კი დაპირდა მას, რომ მისი გარდაცვალების შემდგომ ტახტზე მეფის ძეს დავითს აიყვანდა, თუმცა რუსეთს არაერთხელ დაურღვევია საქართველოსათვის მიცემული პირობა და არც ეს ყოფილა გამონაკლისი. იმპერია გიორგის გარდაცვალების შემდგომ საერთოდ არ აპირებდა ბაგრატიონთა რომელიმე წარმომადგენლის გამეფებას. როგორც უკვე ცნობილი იყო მას ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება ქონდა გეგმაში და ამის სისრულეში მოყვანა ერეკლეს გარდაცვალებიდან დაიწყო ნელ-ნელა. იმპერატორი უბრალოდ

³⁴ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 814-815.

გიორგის გარდაცვალებას ელოდებოდა, რათა საბოლოოდ განეხორციელებინა თავისი გეგმა ჩვენი ქვეყნის მიმართ. ერთადერთი, ვინც მამის მსგავსად რუსეთის ზრახვებს არ, ან ვერ ხედავდა იყო მემკვიდრე დავითი. იგი ელოდებოდა რუსეთიდან დამტკიცებასა და ინვესტიციურებს, ხოლო მის კეთილმოსურნეთა დაჟინებულ თხოვნას, მეფედ კურთხეულიყო ყური არ ათხოვა.

საინტერესოა, სამეფო ოჯახის წევრთა საგარეო ორიენტაცია. მათ ამ მხრივაც განსვავებული აზრი ქონდათ. ერეკლეს მსგავსად რუსეთის კეთილგანწყობისა და დახმარების ჯეროდა გიორგისა და მის შვილს, დავითს. ხოლო დანარჩენი სამეფო კარის წევრები დიდ იმედებს არ ამყარებდნენ რუსეთზე, პირიქით, ხედავდნენ მის რეალურ ზრახვებს და ცდილობდნენ როგორმე ხელი შეეშალათ, თუმცა ისინი მაინც ცდილობდნენ რუსეთი ერთმანეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ ურთიერთბრძოლის დროს. მაგალითად ალექსანდრე ბატონიშვილი გამუდმებით ცდილობდა სპარსეთისა და ირანის გამოყენებას იმპერიის წინააღმდეგ, რამდენად კარგად გამოდიოდა ეს სხვა საკითხია. ასევე დარეჯან დედოფალი და სხვა ბატონიშვილებიც რუსეთის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი და ყოველმხრივ მის თავიდან მოშორებას ცდილობდნენ. თუმცა ისინი ალექსანდრესავით ცხადად არ დაპირისპირებიან იმპერიას და ხანდახან მოჩვენებითი ერთგულების გამოჩენაც უწევდათ. დარეჯან დედოფალი რთულ სიტუაციებში ხშირად უგზავნიდა წერილებს იმპერიას და ახსენებდა მას ტრაქტატით დაკისრებულ მოვალეობებს.

1800 წლის 18 იანვარის რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის მანიფესტით, რომელიც იმავე წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-ის მანიფესტითაც დადასტურდა, რუსეთის იმპერიამ დაარღვია 1783 წლის „გეორგიევსკის“ ტრაქტატის პირობები და გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო.³⁵ იგი თბილისში მოგვიანებით გახდა ცნობილი. 1801 წლის 20 იანვრის ბრძანებით „საქართველოს სამეფო სახლის ყველა წევრს“ პეტერბურგში ინვევდნენ. ცხადია ამით სურდათ თავიდან მოეშორებინათ ის ადამიანები, რომლებიც ქართველ ხალხს რაზმავდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. რა თქმა უნდა, ასე

³⁵ ბ. კუპატაძე. საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა XIX საუკუნეში, საქართველოს ისტორია, XIX ს., „არტანუჯი“, თბ., გვ. 6.

მარტივად არ დანებდებოდნენ ბაგრატიონები და ბოლომდე შეეცდებოდნენ თავიანთ მინა-წყალზე დარჩენილიყვნენ. იმპერია მათ მაღალ პენსიებსა და მიწებს პირდებოდა რუსეთში, რაც ნამდვილად არ აღმოჩნდა სამეფო ოჯახის დარწმუნებისათვის საკმარისი.³⁶

გენერალ კნორინგს დაევალა გაერკვია შეძლებდა თუ არა ქართლ-კახეთის სახელმწიფო დამოუკიდებლად არსებობას. მისი დასკვნით კი ქართლ-კახეთს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო და გამოსავალი ამ სახელმწიფოს გაუქმებაში იყო. კნორინგის ნარკვევს მოყვა ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, რის საფუძველზეც ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია დასრულდა და იგი რუსეთის იმპერიის გუბერნიად იქცა. ამ ყველაფერმა ქართველი თავადების უკმაყოფილება გამოიწვია და მათ გადაწყვიტეს ბატონიშვილების მეთაურობით დარაზმულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა იყო ისეთი ნაწილიც დიდებულისა, რომლებიც იმპერიის მხარეს იყვნენ და ებრძოდნენ ბაგრატიონებს.³⁷ მათი მიზანი კი ის იყო, რომ რაც შეიძლება მეტი ტერიტორია და სახელი მიეღოთ. ასეთი ხალხის ხელში იყო იმ პერიოდში საქართველოს ბედი. არსებული ვითარების გაანალიზების შემდგომ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შვილები მიხვდნენ რომ ერთმანეთთან ბრძოლა არ გამოადგებოდათ. ამას დაემატა ისიც, რომ 1801 წლის მაისის ბოლოს ალექსანდრე I-ის მიერ გამოგზავნილმა გენერალმა კნორინგმა დავით ბატონიშვილი მმართველობიდან გადააყენა და აქ დროებითი მმართველობა დაარსა. ბიძა-ძმისწულები ამის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებით გართულებს სამეფო ხელიდან ეცლებოდათ და ბაგრატიონთა ასწლოვან დინასტიას შეწყვეტა-გადაშენება ემუქრებოდა. ასეთი საფრთხის წინაშე აღმოჩენილმა სამეფო კარის წევრებმა გადაწყვიტეს ქართლ-კახეთის სამეფოს აღსადგენად გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ. მათ საიდუმლოდ შეფიცეს ერთმანეთს, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა მეფობის უფლება არ დაეკარგათ ბაგრატიონებს და მეფედ იმას აირჩევდნენ, ვისაც დარეჯან დედოფალი დაასახელებდა. ალექსანდრე და დავითი ერთმანეთს უთვლიდნენ,

³⁶ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 815.

³⁷ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 816-817.

რომ ყოველთვის მზად იყვნენ ერთმანეთის დასახმარებლად. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი რუსებს არ გამოპარვიათ და მათში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.³⁸

საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი დადგა დღის წესრიგში. ქართველები კი მაინც განაგრძობდნენ ურთიერთბრძოლას. მხოლოდ ის, რომ ბატონიშვილები მიხვდნენ, თუ რა საფრთხეს უქმნიდა მათი დაპირისპირება ქვეყანას არ იყო საკმარისი, რადგან საჭირო იყო ყველა შესაძლებელი სამხედრო ძალის გამოყენება და შეიძლება ითქვას ერთი კაცის კი მნიშვნელოვანი იყო იმ მძიმე პერიოდში. სასწრაფოდ დაიწყო გარე დამხმარე ძალის ძიება და ყველა შესაძლო კანდიდატთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. დაიგეგმა შეთქმულება იმპერიის წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილი დაუღალავად შრომობდა, რათა მეტი სამხედრო ძალისთვის მოეყარა თავი.

სოლომონ II-ის კარზე გახიზნულმა ბატონიშვილებმა თავიანთი მიზნების განსახორციელებლად ფართო მუშაობა გააჩაღეს. ისინი 1801 წელს შეხვდნენ ახალციხის ფაშას და დახმარება თხოვეს. ასევე ურთიერთობა დაამყარეს განჯის, ყარაბაღის, ერევნისა და სხვათა ხანებთან.³⁹ ისინი ყველას მოუწოდებდნენ ერთიანი ძალებით დაპირისპირებოდნენ რუსეთს. ხანები კარგად აცნობიერებდნენ რომ ქართლ-კახეთის შემდეგ მათი ჯერი აუცილებლად დადგებოდა და რუსეთი მათ დამონებასაც მოინდომებდა. სწორედ ამ მიზეზის გამო ისინი ცდილობდნენ ბატონიშვილებს დახმარებოდნენ და კავკასიიდან განედევნათ რუსთა ჯარები, რათა შემდგომში უზრუნველყოთ თავიანთი თავისუფლება.

ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, ალექსანდრეს კარგად ესმოდა საქართველოს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც მან შეიძინა რუსებისა და აღმოსავლური ქვეყნების დაპირისპირების დროს. საქართველოთი დაინტერესებული იყო არა მხოლოდ სპარსეთი. შაჰის ნებაზე არ იყო დამოკიდებული, რა პოზიციებს

³⁸ **АКТЫ.** собранные Кавказскою Агхеографическою Комюмиссие ; Т. I напечатанъ подъ редакциею председателя коммиссии, ст. сов. АД. Берже, Тиф., Въ. Тирографии Главнаго Управления Намъстника Кавказского, 1866, გვ. 350-351.

³⁹ **ე. ორჯონიკიძე.** ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. „მეცნიერება“, თბ., 1999. გვ. 7-8.

დაიკავებდა იგი საქართველოს მიმართ, რადგან ირანს განსაკუთრებით შეურიგებელ პოზიციებს ინგლისი კარნახობდა, რომელიც ვერაფრით ვერ ურიგდებოდა აღმოსავლეთისაკენ რუსეთის სწრაფვას და შემდგომ გაბატონებას.⁴⁰

სამეფო ოჯახის ყველა წევრი 1803 წლიდან 1805 წლამდე უნდა ყოფილიყო გადასახლებული რუსეთში. მათ შორის დედოფლებიც.⁴¹ ამ ქმედებით იმპერია თავს იზღვევდა, რათა შემოდგომში თავიდან აეცილებინა ბაგრატიონთა მეთაურობით აჯანყების საშიშროება. ისინი ხომ დამრავლდნენ როგორც ასრულებდნენ ქართველი ხალხისთვის. სწორედ ამ მიზეზის გამო მიიღეს ეს გადაწყვეტილება და ფიქრობდნენ რომ შემდგომში მრავალი პრობლემისგან დააღწევდნენ თავს, კონკრეტულად კი სხვადასხვა კუთხეში სამხედრო გამოსვლებისგან. თუმცა რუსებმა ალექსანდრეს შეპყრობა და გადასახლება ვერ მოახერხეს. ბატონიშვილი კი მუდმივად ცდილობდა ახალ-ახალი აჯანყების მოწყობას და მტრის გაძევებას, რასაც არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

სამეფო კარზე არსებული დაპირისპირება ქართლ-კახეთისთვის მძიმე შედეგებით დასრულდა. ასევე სავალალო აღმოჩნდა მთლიანად საქართველოსთვის. ეს დაპირისპირება ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იყო რუსეთისთვის მარტივად დაუფლებოდა და გაეუქმებინა საქართველოში ცენტრალური ხელისუფლება, რის მისაღწევადაც იმპერია თავს არ ზოგავდა. იგი მიმართავდა სამხედრო ძალის გამოყენებას, მექრთამეობას და სხვადასხვა გზას, რათა ქართველ ხალხზე ზეგავლენა მოეხდინა და ნაკლები პროტესტი მოყოლოდა იმ ყველაფერს, რასაც უპირებდა საქართველოს. ბატონიშვილების ქიშპი ზუსტად, რომ დროული აღმოჩნდა რუსთათვის, რადგან ერთმანეთთან ბრძოლაში დასუსტებული ქართლ-კახეთი და მათი მმართველები დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ და მარტივად შეეგუებოდნენ ბედს. ასევე უარყოფითად მოქმედებდა ის ფაქტი, რომ ბაგრატიონთა უმეტესობა გადასახლებული იყო რუსეთში, ალექსანდრე ბატონიშვილი კი მუდმივი დევნის შედეგად ხან ირანში, ხანაც კი ოსმალეთში იმყოფებოდა და აფარებდა თავს, რათა მტერს არ მოეკლა. იგი ხომ ერთ-

⁴⁰ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, თბ., 1965, გვ. 368.

⁴¹ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973. გვ. 838.

ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ვერ შეეგუა ბედს და გამუდმებით ცდილობდა რუსეთის განდევნას სამშობლოდან. მიუხედავად იმისა, რომ ძალისხმევას არ იშურებდა და მუდმივად უწევდა წინააღმდეგობას მტერს, არსებითი შედეგი არ მოჰყოლია მის ბრძოლას.

ბაგრატიონები, რომ თავიდანვე ერთიანები ყოფილიყვნენ და ერთმანეთის გვერდში დადგომოდნენ ძლიერი წინააღმდეგობის განევას შეძლებდნენ იმპერიისთვის და შესაძლოა ასეთი სავალალო შედეგით არ დასრულებულიყო რუსეთის შემოჭრა. თუმცა ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ქართლ-კახეთის ერთიანობა საკმარისი არ იყო, რადგან იმ პერიოდში საქართველო დიდი ხნის დაშლილი იყო და დასავლეთ საქართველო მხოლოდ უმნიშვნელო დახმარებას უწევდა მათ. მიზეზი კი ის იყო, რომ თავდაპირველად დასავლეთში ოსმალეთი იყო გაბატონებული და რუსეთს ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი, შესაბამისად სანამ უშუალოდ არ შეიგრძნო სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საშიშროება დასავლეთმა მანამდე დიდად არ აწუხებდა აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები. ყველაზე მეტად იმერეთის მეფე, სოლომონ II ეხმარებოდა ბატონიშვილებს. დანარჩენი კუთხეები კი ცდილობდნენ რუსეთის მფარველობაში შესულიყვნენ, რათა დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ და იმერეთისათვის წინააღმდეგობის განევაში იმპერიის სამხედრო ძალა გამოეყენებინათ. შესაბამისად სოლომონიც დასავლეთში არსებული მდგომარეობის მოგვარებით იყო დაკავებული და ვერ ეხმარებოდა ქართლ-კახეთს. ყველა ამ ფაქტორმა კი განაპირობა ის შედეგი, რომ სამეფო დინასტია გადასახლებულ იქნა საქართველოდან და მონარქიის არსებობა დამთავრდა საქართველოში.

გერონტი ქიქოძე საუბრობს იმ შედეგებზე, რაც რუსეთთან შეერთებამ მოუტანა საქართველოს. მისი აზრით რუსეთთან შეერთებამ ქართველი ერის ცხოვრებაზე ერთი მხრივ კეთილის მყოფელი გავლენა მოახდინა, მეორე მხრივ კი უარყოფითი. დადებითი იმაში მდგომარეობს, რომ ფეოდალური ანარქია აილაგმა და საქართველო გაერთიანდა პოლიტიკურად. შემოღებულ იქნა ერთი მთლიანი კანონმდებლობა და სამართალი, გარეშე მტრების თარეშს მტკიცე ზღუდე დაედო, ხოლო ტყვეების გაყიდვა აიკრძალა. შედარებით მშვიდობიანობის დამყარების წყალობით შესაძლებელი გახდა

აღებშიცემობის მოწესრიგება. ქალაქების ზრდასთან ერთად დაიწყო წვრილი ბურჟუაზიის განვითარება. საქართველოს ხელახლა გზა გაეხსნა კულტუროსანი კაცობრიობისკენ, სკოლებისა, თეატრისა, უურნალ-გაზეთების დაარსების წყალობით ის თანამედროვე სწავლა-განათლებას დაეწაფა. მაგრამ რთული ადმინისტრაციული და პოლიციური აპარატის და მუდმივი ჯარის ხარჯები მძიმე ტვირთად დაანვა ქართველ ერს, განსაკუთრებით გლეხობას. მან მწვავედ იგრძნო აგრეთვე უცხო ენის შემოღება სახელმწიფო და კულტურულდანიესებულებებში, დაუსრულებელი და გაჭიანურებული სამართლის წარმოება, ოჯახური მორალის შერყევა, როგვის და გაციმბირების შემოღება დამნაშავის დასასჯელად. ქართველი ერის პრივილეგირებულმა წრეებმა, თავადაზნაურობის, სამღვდელოების და ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა თავისი უკმაყოფილება ახალი პოლიტიკური რეჟიმის დამყარების გამო გამოხატა პოლიტიკურ შეთქმულებაში, რომელიც XIX საუკუნის I ნახევარში აქტიურად მიმდინარეობდა.⁴² სწორედ ეს შედეგები მოუტანა სამეფო კარზე არსებულმა დაპირისპირებამ და მათმა სისუსტემ ქართლ-კახეთსა და მთლიანად საქართველოს. მართალია, რუსეთის ბატონობის დამყარებაში მთლიანად სამეფო კარი არაა დამნაშავე, თუმცა ჩემი აზრით დიდი წვლილი მიუძღვით ამაში. რუსეთს შეიძლება თავისი სიძლიერიდან გამომდინარე მაინც გაეუქმებინა სამეფო, თუმცა ბატონიშვილთა შეთანხმებული მოქმედება არ გაუიოლებდა მათ საქმეს და შესაძლებელი იქნებოდა სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. მათმა ქმედებამ და სისუსტის გამოჩენამ კი ქართველი ერი უკიდურესობამდე მიიყვანა. სწორედ სისუსტედ მიმაჩნია, როდესაც ამხელა ქვეყნისგან დიდი საფრთხე გამუქრება, ამას სათანადოდ ვერ იაზრებ და ურთიერთბრძოლაში კარგავ დროს, ენერჯიასა და ხალხს.

⁴² გ. ქიქოძე. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან. მნათობი, უურნალი, წელიწადი მეცხრამეტე, I, თბილისი, 1942, გვ 21.

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ნაშრომში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ რამდენიმე საკითხზე. პირველ თავში განვიხილეთ ზოგადად ის მიმდინარე პროცესები და პოლიტიკური მდგომარეობა, რაც იყო XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში. ასევე ის, თუ რამ გამოიწვია სამეფო კარზე დაპირისპირება. საბოლოოდ ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ სწორედ იმ პერიოდში არსებულმა გარემოებამ გამოიწვია შემდგომ ის ყველაფერი, რაზეც ნაშრომშია საუბარი. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ერეკლე II-ს გადაწყვეტილება, 1783 წლის 24 ივლისს ხელი მოეწერა სამფარველო ხელშეკრულებისთვის რუსეთთან, რომლის ინიციატორიც თავად გახლდათ. სწორედ მეფის ამ გადაწყვეტილებამ გაუხსნა ერთგვარად გზა რუსებს საქართველოსკენ და ნელ-ნელა შეფარვით დაეუფლნენ ჩვენს ქვეყანას.

მეორე თავში განხილულია სამეფო ოჯახის დაპირისპირების გამწვავება და ის, თუ რამ გამოიწვია იგი. როგორც ჩანს, მთავარი მიზეზი გიორგის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო, რომლის მიხედვითაც ტახტზე ძმების მაგივრად, თავისი შვილი-დავითი ავიდოდა. სწორედ ეს გახლდათ მთავარი ფაქტორი. ერეკლე II-ის შვილები არ აპირებდნენ შეგუებოდნენ მამის ანდერძის გატეხვას და ისინი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდნენ. თავის მხრივ კი დავითი არ აპირებდა ტახტის დათმობას და მას ძმებიც ეხმარებოდნენ ამაში. დარეჯან დედოფალიც იყო ჩართული ამ ყველაფერში და იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რათა სამეფო ტახტი მის რომელიმე შვილს დაეკავებინა.

მესამე თავში კი საუბარია იმ შედეგებზე, რომლებიც ბაგრატიონთა ურთიერთბრძოლამ გამოიწვია. ასევე რუსეთის პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებდა იგი ქართლ-კახეთში და მთლიანად საქართველოში. იმპერიის პოლიტიკა შეფარვითი იყო, თითქოს მას თავდაპირველად საქართველოს დაცვა სურდა მაჰმადიანი ქვეყნებისგან და მხოლოდ ეხმარებოდა, მაგრამ დიდი ხნით ვერ შეძლო დაემალა თავისი მიზნები და მალევე აჩვენა ნამდვილი სახე. სამეფო კარის წევრები ამ დროისთვის,

მართალია ყველაფერს მიხვდნენ და ერთობლივი მოქმედებაც დაიწყეს, თუმცა საკამაოდ გვიანი იყო. ისინი დასუსტებულები იყვნენ ერთმანეთთან ქიშპით და აღარ შესწევდათ ძალა სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ რუსეთისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მონარქიის გაუქმება და იმპერიასთან შეერთება. რუსეთს შეიძლება თავისი სიძლიერიდან გამომდინარე მაინც გაეუქმებინა სამეფო, თუმცა ბატონიშვილთა შეთანხმებული მოქმედება არ გაუიოლებდა მათ საქმეს და შესაძლებელი იქნებოდა სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. ასეთი სავალალო შედეგით დასრულდა სამეფო კარის წევრთა დაპირისპირება. ვფიქრობ, სწორეს ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ რუსეთმა ამდენის მიღწევა შეძლო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965.
2. ღუმბაძე მ. ერეკლეს მეფობის უკანასკნელი წლები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973.
3. ღუმბაძე მ. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973.
4. ღუმბაძე მ., ცქიტიშვილი ზ. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795 წ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973.
5. თაბუაშვილი ა. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისასთვის. თბ., „უნივერსალი“, 2010.
6. იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, „ფედერაცია“, თბ., 1936.
7. კუპატაძე ბ. საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ., „არტანუჯი“, 2004.
8. ორჯონიკიძე ე. ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. თბ., „მეცნიერება“, 1999.
9. ჰაპავა თ. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., „მერანი“, 1990.
10. სამსონაძე მ. ალა-მაჰმად ხანის 1795 წლის თავდასხმა, საქართველოს ისტორია, ტომი III. რედ., მ. ლორთქიფანიძე, თბ., 2012.
11. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., „მეცნიერება“, 1965
12. ქიქოძე გ. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან. მნათობი, უურნალი, წელიწადი მეცხრამეტე, I, თბილისი, 1942.
13. ცინცაძე ი. ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795). თბ., „ცოდნა“, 1963.
14. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფისძე დავით და ბატონიშვილი იულონ, მოამბე, თვიური უურნალი, № 4, ტფილისი, 1900, მარტი.

15. **ჯანაშვილი მ.** საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, ქუთაისი, ღამბაშიძის სტამბა, 1899.
16. **Акты**, собранные Кавказскою Агхеографическою Комюмиссие. ; Т. I напечатанъ подъ редакциею председателя коммиссии, ст. сов. АД. Берже, Тиф., Въ. Типографии Главнаго Управления Намъстника Кавказскаго, 1866.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities



MA Program in History

Baratashvili Mariam

**Controversy over the Kartli-Kakheti Royal Family Members and its
Results during the Abolition of the Statehood**

Thesis is prepared to obtain MA Degree in History of Georgia

Scientific Advisor Leri Tavadze

Ph.D. in History, Associate Professor

Tbilisi

2019